საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 310 (2683) ხუთშაბათი, 11 დეკემბერი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

პარლამენტი

ბიუჯეტის პროექტი მეორე მოსმენით

9 დეკემბერს, გვიან ღამით, მუშაობა დაამთავრა საქართველოს პარლამენტის პლენარულმა სხდომამ. როგორც ცნობილია, ამ სხდომის უმთავრესი თემა იყო საქართველოს 1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის განხილვა. კერძოდ, გაგრძელდა 27 ნოემბერს დაწყებული კანონპროექტის მეორე მოსმენა.

კანონპროექტმა დეპუტატთა შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე გარკვეული კორექტირება განიცადა. საბოლოოდ, – 141 მომხრე და 40 წინააღმდეგი, – საქართველოს პარლამენტმა ბიუჯეტის პროექტი მეორე მოსმენით მიიღო. ეს კი იმის წინაპირობაა, რომ წინ აღარაფერი დაუდგება ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის მესამე – საბოლოო მოსმენით მიღებას, რომელიც 12 დეკემბრისათვის არის დანიშნული, და სახელმწიფოს ისტორიაში პირველად ჩვენი ქვეყანა ახალ – 1998 წელს უკვე დამტკიცებული ბიუჯეტით შეხვდება.

1998 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი გაწისაზღვრა 760.836,2 ათასი ლარის, ხოლო გასავალი – 937.836,2 ათასი ლარის ოდენობით. დეფიციტის ზღვრული ოდენობა 177 მილიონ ლარს შეადგენს.

საქართველოს ისრაელში თავისი ელჩი ეყოლება

ისრაელმი საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იქნება რევაზ გაჩეჩილაძე. 9 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე პარლამენტმა ქვეყნის პრეზიდენტს მისი დანიშვნის თაობაზე თანხმობა მისცა.

1995 წლის ბიუჯეტის გადამეტებით დახარჯული თანხა კვლავ პარლამენტის ყურადღების ცენტრშია

9 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე ქვეყნის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო დადგენილება, რომ ჯუმბერ (ჯონი) თაყინაშვილი დაინიშნოს პარლამენტის მომხსენებლად 1995 წლის ბიუჯეტის გადამეტებით დარღვევით გაწეული ხარჯების კანონიერებისა და მიზნობრიობის საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტის ბიუროს 1997 წლის 4 ნოემბრის დადგენილებით, 1995 წლის ბიუჯეტის გადამეტებით კანონის დარღვევით გაწეული ხარჯების კანონიერებისა და მიზნობრიობის შესასწავლად საქართველოს პარლამენტში მომხსენებლის დანიშვნის საფუძველი გახდა საქართველოს 1995 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მთავრობის ანგარიში და კონტროლის პალატის მოხსენება ამ ანგარიშის გამო. პარლამენტმა კონტროლის პალატის მიერ დამტკიცებით შემოწმების საფუძველზე 1995 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ხარჯების გადამეტებით 92,4 მილიონი ლარის გამოყოფა უკანონოდ მიიჩნია, ვინაიდან ასეთი ხარჯების გაწევის თაობაზე არ ყოფილა მიღებული საქართველოს პარლამენტის თანხმობა. ასეთია კონტროლის პალატის 1996 წლის მაისის ცნობა.

„1995 წლის ბიუჯეტის გადამეტებით დარღვევით გაწეული ხარჯების კანონიერებისა და მიზნობრიობის შესახებ" მოხსენება დაგეგმილია მოისმინონ პარლამენტის 12 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე.

იხ. მე - 2 გვ.

ვიზიტი

საქართველო და რუმინეთი ადასტურებენ სტრატეგიული ინტერესების ერთიანობას

პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრის დროს.

სერგო ედიშერაშვილის ტელეფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბუქარესტი, 10 დეკემბერი. (საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტები). სწორედ საქართველოსა და რუმინეთის როგორც გეოპოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ პოტენციალზე დამყარებული სტრატეგიული ინტერესები წარმოადგენს იმ ღერძს, რომელზეც შენდებოდა ბოლო წლების განმავლობაში ორი ქვეყნის ურთიერთობა. ორმხრივი, რეგიონული თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში თანამშრომლობის მრავალფეროვან შესაძლებლობათა რეალური გამოყენება, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალზე დამყარებული სტრატეგიული ინტერესები წარმოადგენს იმ ღერძს, რომელზეც შენდებოდა ბოლო წლების განმავლობაში ორი ქვეყნის ურთიერთობა. ორმხრივი, რეგიონული თუ საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში თანამშრომლობის მრავალფეროვან შესაძლებლობათა რეალური გამოყენება, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის, ევრაზიის საგრანსპორტო-საკომუნიკაციო ქსელის ფარგლებში პარტნიორობის გააქტიურება, – ასეთ მიზანს ისახავს რუმინეთში საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი, რომელიც დღეს დაიწყო.

სახელმწიფოს მეთაურთან ერთად ბუქარესტში ჩამოვიდა საქართველოს ოფიციალური დელეგაცია, რომელშიც შედიან ტრანსპორტის მინისტრი მერაბ ადეიშვილი, ეაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის მინისტრი კოტე ზალდასტანიშვილი, საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელები, სხვა უწყებათა წარმომადგენლები.

იხ. მე - 2 გვ.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 8 დეკემბერი ქ. თბილისი

3. სააკაძის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო, პრაქტიკული მოღვაწეობისათვის საქართველოში პროფესიულ ალერგიულ დაავადებათა შესწავლის ფუძემდებელი, შრომის პიგიენისა და პროფდაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრის გამგე, პროფესორი **ვადიმ სააკაძე** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 9 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს მწერალთა კავშირის აპარატის მუშაკთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

ქართული მწერლობის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილის, ნაყოფიერი ორგანიზაციული და შემოქმედებითი მუშაობისათვის საქართველოს მწერალთა კავშირის აპარატის ღვაწლმოსილი მუშაკები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

ღირსების ორდენით:

ზაალ ბოტკოველი – საორგანიზაციო განყოფილების უფროსი, მწერალი, მთარგმნელი

ნანა კანდელაკი – საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ინსპექტორი, მწერალი

დავით კახაბერი – თავმჯდომარის თანაშემწე, მწერალი, მთარგმნელი

თამარ ჩიკვაიძე – ბიბლიოგრაფი.

ღირსების მედლით:

რევაზ ართილაყვა – განყოფილების გამგე, მწერალი

მანანა ბასილაშვილი – მთავარი ბუღალტერი

ლაურა დათიაშვილი – საორგანიზაციო განყოფილების ინსპექტორი

ქეთევან დემეტრაშვილი – უფროსი ბუღალტერი

ნინო თოფჩიშვილი – საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ინსპექტორი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, მწერალი, მთარგმნელი

რევაზ კვერენჩხილაძე – ბიბლიოთეკის გამგე, მწერალი

თამარ შარიქაძე – თავმჯდომარის რეფერენტი

ნონა ხუნდაძე – ბუღალტერი.

ე. შევარდნაძე.

ინფორმაცია

შეხვედრა კათალიკოს-პატრიარქთან

10 დეკემბერს სოხუმის უნივერსიტეტმა შეხვედრა მოუწყო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს. შეხვედრა მიეძღვნა კათალიკოს-პატრიარქის აღსაყდრების 20 წლისთავს, რომელიც ამა წლის 25 დეკემბერს სრულდება. საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებამდე მისი უწმინდესობა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი იყო, და ამდენად კანონზომიერია, რომ პირველად სწორედ აფხაზეთის უნივერსიტეტმა მიიღოცა უწმინდესს ეს იუბილე. შეხვედრას ესწრებოდნენ აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები თ. ნადარეიშვილი, ზ. ერქვანია და სხვ. გუშინვე, სოხუმის უნივერსიტეტის შენობა აკურთხა ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა დანიელმა მცხეთა-თბილისის სამღვდელოებასთან ერთად.

უკან დასახევად ოფიციალურ ბრძანებას ელოდებიან

საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის თავმჯდომარემ, პარლამენტარმა ლევან ალავიძემ საინფორმაციო „ მომამბე-ექს-პრესის" კორესპონდენტთან საუბრისას აღნიშნა, რომ ლარსის ხეობაში სიტუაცია, ჯერჯერობით, უცელელია. საზღვრის სტატუს-ქვოს აღდგენის შესახებ მიღებული დოკუმენტის საფუძველზე, სმაკელები ვარაუდობენ, რომ რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ვალერი სერეოვის მოსკოვში ჩასვლის შემდეგ, სპეციალური ბრძანების გაცემის შედეგად რუსი მესაზღვრეები ძველ პოზიციებს დაუბრუნდებიან.

წლეულს აფხაზეთს 5 ათასი მოქალაქე გაეცალა

1997 წელს აფხაზეთიდან ამოიწერა და საცხოვრებლად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებში (ძირითადად, რუსეთში) გაეცალა 5000-მდე მოქალაქე. მათ შორის 60 პროცენტი აფხაზი ეროვნების, 20 პროცენტი სომეხი და 15 პროცენტი რუსი ეროვნების, – სარწმუნო წყაროზე ეცნობა ცხინვალი. ეს ინფორმაცია ადასტურებს ადგილობრივ ინფორმაციას, – ასეთ ინფორმაციას ავრცელებენ ადგილობრივ ინფორმაციის საშუალებები.

ოსურ-ინგილოურ ურთიერთობათა ისტორიიდან

ცნობილია, რომ ინგილოებს ოსურ ენაზე ეწოდებოდა ალაზანი, ალაზანს ეძახდნენ ინგილოურ ენას, ინგილოებს – ალაზანელებს. ინგილოურ ენაზე ალაზანელ ოსებს ეძახდნენ ალაზანელ ოს

საქართველოს რესპუბლიკა
№310. ხუთშაბათი, 11 დეკემბერი, 1997 წელი

ვიზიტი

საქართველო და რუმინეთი ადასტურებენ სტრატეგიული ინტერესების ერთიანობას

კოტროჩენის სასახლეში. დახვედრის ოფიციალური ცერემონია.

სერგო ედიშერაშვილის ტელეფოტო (საინფორმის ფოტოქრონიკა)

დახვედრის ოფიციალური ცერემონიის შემდეგ, რომელიც ედაქალაქის კოტროჩენის სასახლის ეზოში გაიმართა, ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე და რუმინეთის პრეზიდენტი ემილ კონსტანტინესკუ. მათ შორის პირისპირ ერთსაათიანი საუბრის შემდეგ გაიმართა საქართველოსა და რუმინეთის ოფიციალურ დელეგაციათა მოლაპარაკება, რომლის დროსაც მხარეებმა განიხილეს პარტნიორობის კონკრეტული მიმართულებანი.

მოლაპარაკების შედეგების შესახებ ედუარდ შევარდნაძემ და ემილ კონსტანტინესკუმ განცხადებები გააკეთეს პრესისათვის.

– ჩვენი მიზანია ძალზე სერიოზულ თანამშრომლობად გარდაექმნათ და პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, დიპლომატიური თვალსაზრისით სრულყოთ მეგობრობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე გრძელდება ჩვენს ქვეყნებს შორის, – განაცხადა რუმინეთის პრეზიდენტმა. იგი მიესალმა მეგობარი საქართველოს პრეზიდენტს, მისიეე სიტყვებით, ბოლო ათწლეულის თვალსაჩინო პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა „ცივი ომის“ დასრულებაში.

როგორც ემილ კონსტანტინესკუმ განაცხადა, პირისპირ შეხვედრაზეც და დელეგაციათა მოლაპარაკებაზეც საუბარი შეეხებოდა ორმხრივ ურთიერთობათა გაღრმავებასა და სუბრეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებში თანამშრომლობის გააქტიურებას. მან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს გააცნო გადაწყვეტილება თბილისსა და ბუქარესტში საელჩოების, ხოლო ფოთსა და კონსტანცაში საკონსულო წარმომადგენლობათა გახსნის შესახებ, და განაცხადა, რომ მხარეები შეთანხმდნენ გააააქტიურონ ურთიერთმხარდაჭერა ევროპულ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ედუარდ შევარდნაძემ, უწინარეს ყოვლისა, რუმინეთის პრეზიდენტს მიულოცა წარმატებები, რომლებსაც მიაღწია ქვეყანამ საერთაშორისო ასპარეზზე, აგრეთვე დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობასა და ევროპულ და მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში. მან ხაზგასმით აღნიშნა შეხვედრის განსაკუთრებით გულთბილი და საქმიანი ატმოსფერო. „მთავარი, რაც ჩვენ დავაფიქსირეთ, ის არის, რომ ჩვენი ქვეყნების სტრატეგიული მიზნები როგორც ახლანდელ ეტაპზე, ისე სამომავლოდ, სავსებით ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომ ვლაპარაკობთ დიდ პარტნიორობაზე, რომელიც გულისხმობს ორმხრივი, რეგიონული და საერთაშორისო მასშტაბით თანამშრომლობას“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. მან აღნიშნა, რომ ყურადღების ცენტრში იყო „ტრასეკის“ პროექტის რეალიზაციის პრობლემა, რომელიც „დიდი აბრეშუმის გზის“ აღორძინებას ისახავს მიზნად. ამ გზაზე, ედუარდ შევარდნაძის შეფასებით, რუმინეთსა და საქართველოს უნიკალური პოზიციები უკავიათ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მადლობა გადაუხადა რუმინეთის პრეზიდენტს საელჩოებისა და საკონსულო წარმომადგენლობათა გახსნის საკითხში გამოჩენილი ერთსულოვნებისათვის და განაცხადა, რომ ოფიციალურ ვიზიტად იწვევს ემილ კონსტანტინესკუს საქართველოში. „ეს იქნება ახალი ფურცელი ჩვენი ქვეყნების, აგრეთვე რუმინეთისა და, საერთოდ, კავკასიის ურთიერთობაში“, – აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

* * *

დღესვე საქართველოს პრეზიდენტი ეწვია რუმინეთის ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული ქართველი მოღვაწის, დიდი განმანათლებლის ანთიმოზ ივერიელის სახელობის მონასტერს. ვლახეთის მიტროპოლიტმა ანთიმოზმა, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის რუმინული ენის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და, საერთოდ, რუმინული კულტურის განვითარების საქმეში, საკუთარი გეგმით ააგო მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში ეს მონასტერი. გამოჩენილი სასულიერო მოღვაწის სახელთან არის დაკავშირებული რუმინულ ღვთისმსახურებაში რუმინული ენის დამკვიდრება, წიგნის ბეჭდვის ტრადიციის სათავეები. მან განსაკუთრებული ამაგი დასდო თბილისში 1708-1709 წლებში სტამბის დაარსებას, სადაც დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი „სახარება“.

ედუარდ შევარდნაძემ დაათვალიერა სამონასტრო კომპლექსი, მისი ხატსაცავები, ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია უნიკალური საეკლესიო წიგნები. ეკლესიაში, რომელსაც ამკრად ეტყობა ქართული ხუროთმოძღვრების გავლენა, სახელმწიფოს მეთაურმა სანთელი აანთო და მონასტრის წინამძღვარს წმინდა გიორგის ხატი გადასცა.

ამის შემდეგ ედუარდ შევარდნაძე და საქართველოს დელეგაციის წევრები გაემგზავრნენ სამეფო პარკში, სადაც საქართველოს პრეზიდენტმა გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

ნამუადღევს ედუარდ შევარდნაძე შეხვდა რუმინეთის დეპუტატთა პალატის პრეზიდენტს იონ დიაკონესკუს. გაიმართა საუბარი, რომელიც ძირითადად შეეხო ორი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოთა თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივას.

შემდეგ კი კოტროჩენის სასახლეში გაიმართა არასამთავრობო ორგანიზაციის ფორუმი „რუმინეთი გზაჯვარედინზე“ – შეხვედრა, რომელსაც უძღვებოდნენ რუმინეთისა და საქართველოს პრეზიდენტები.

შეხვედრაზე, რომელიც მონაწილეობდნენ ამ ორგანიზაციაში გაერთიანებული ათობით როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურების, ბანკების, საადაზღვეო კომპანიების წარმომადგენლები და ბიზნესმენები, განიხილეს ევრაზიის საგრანსპორტო დერეფანში ორი ქვეყნის უფრო აქტიური ჩართვის კონკრეტული პროექტები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ფოთისა და კონსტანცის, როგორც ამ დერეფნის საკვანძო რგოლების, პოტენციალის მაქსიმალურად ამოქმედების აუცილებლობას.

საღამოს კოტროჩენის სასახლეში რუმინეთის პრეზიდენტმა ემილ კონსტანტინესკუმ ოფიციალური სადილი გამართა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პატივსაცემად.

ვიზიტი გრძელდება.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

დასასრული. დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე.

პარლამენტი

კანონშემოქმედებითი საქმიანობა

10 დეკემბერს მუშაობა გააგრძელა საქართველოს პარლამენტის პლენარულმა სხდომამ.

დილის სხდომა დაიწყო „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონპროექტის მუხლობრივი განხილვით. იმის გამო, რომ შესაბამის საპარლამენტო კომიტეტში დიდხანს და საგულდაგულოდ მიმდინარეობდა კანონპროექტის დამუშავება და შეჯამება, მეორე მოსმენამ, ფაქტობრივად, უპრობლემოდ ჩაიარა. განისაზღვრა მოქალაქეთა უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში: სახელმწიფო საქართველოს მოქალაქეებს უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებით, რომელსაც ითვალისწინებს დადგენილი წესით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები. კანონპროექტში ჩამოყალიბებულია ჯანმრთელობის დაცვის სფეროს სახელმწიფო მართვის მექანიზმები, ორგანიზაცია და დაფინანსება. განისაზღვრა სამედიცინო და ფარმაცევტული პერსონალისათვის სახელმწიფო სერტიფიკაციისა და სახელმწიფო ლიცენზიის მინიჭების პირობები, სამედიცინო საქმიანობა და მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროსთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ვალერი ვაშაკიძემ პირველი მოსმენისათვის წარმოადგინა კანონპროექტი „ლტოლვილთა შესახებ“. აღნიშნული კანონპროექტის მიზანია, განსაზღვროს საქართველოში ლტოლვილთა სამართლებრივი მდგომარეობა, ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისა და დაკარგვის წესი, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე იმ პირთა სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური გარანტიები, რომლებმაც იძულებით დატოვეს თავიანთი მოქალაქეობის ქვეყანა ან მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა და შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. მინისტრის განმარტებით, კანონპროექტი შემუშავებულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობის დახმარებით.

პარლამენტმა დიდი ენებათაღლვის გარეშე მეორე მოსმენით განიხილა კანონპროექტი „კოლექტიურ ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შემუშავების, დადებისა და შესრულების სამართლებრივ საფუძვლებს.

დიდი მსჯელობის საგნად იქცა კანონპროექტი „ხე-ტყის ნედლეულის ექსპორტის შესახებ“. იგი პირველი მოსმენით წარმოადგინა პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გიორგი გაჩეჩილაძემ, რომელიც, აგრეთვე კანონპროექტის ერთ-ერთი ავტორია. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს ქვეყნის ტერიტორიაზე მასობრივი ხასიათი მიიღო ტყის უკანონო გაჩეხვამ და ხე-ტყის ექსპორტმა. კანონპროექტის მიზანია, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოაგვაროს სამართლებრივი ურთიერთობანი ხე-ტყის ნედლეულის ექსპორტის სფეროში, უზრუნველყოს ტყის რესურსებით რაციონალური სარგებლობა მდგრადი განვითარების პრინციპების საფუძველზე, ხელი შეუწყოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის საქმეს. ავტორის აზრით, კანონპროექტის მიღების საჭიროება მთელი რიგი სოციალური, ეკონომიკური და გარემოს დაცვითი (ეკოლოგიური) ფაქტორებით არის განპირობებული.

ამავე სხდომაზე პარლამენტმა განიხილა პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციების შემადგენლობის დამტკიცების საკითხი, პარლამენტის დადგენილება „საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხებისა და წესების, თვითმმართველობისა და რეგიონული პოლიტიკის, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტების სტრუქტურაში ცვლილებათა შეტანის შესახებ“, მესამე მოსმენით კანონპროექტი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“, აგრეთვე რამდენიმე მნიმშვნელოვანი შეთანხმებისა და ხელშეკრულების რატიფიცირების საკითხი.

სხდომამ მუშაობა გვიან საღამომდე გააგრძელა.

იმსჯელეს ცხინვალის რეგიონში არსებულ სიტუაციაზე

10 დეკემბერს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ცხინვალის რეგიონის საკითხთა კომისიის სხდომა, რომელზეც მთავარი ყურადღება დაეთმო რეგიონში დღესდღეობით არსებულ სიტუაციას. ილაპარაკეს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძისა და ბაგონ ლუდვიგ ჩიბიროვის ერთობლივ განცხადებაზე, რომელსაც გასულ თვეში მოაწერეს ხელი. როგორც აღინიშნა, წელს ყველა შეხვედრა პირისპირ გაიმართა და მუშაობა მხოლოდ ჩვენს ორ მხარეს შორის მიმდინარეობდა. კონფლიქტის რეალურმა ავტორმა კულისებში გადაინაცვლა, რაც სხდომაზე გამოსულთა აზრით, იძლევა იმედს, რომ ორი მხარის ურთიერთობა გაღრმავდება და უფრო საქმიანი გახდება. შენიშვნა გამოითქვა განცხადების ტექსტში აღნიშნული ფორმულირების – სამხრეთ ოსეთის მხარის გამო. როგორც ითქვა, ეს განმარტება 1994 წლიდან ფიგურირებს და ნიშნავს ეთნიკურად ოსურ მხარეს, და სრულიადაც არ გულისხმობს მათთვის ლეგიტიმური უფლებების მინიჭებას და დე-ფაქტოდ მათს აღიარებას.

როგორც პარლამენტარმა მამუკა არეშიძემ თქვა, რეგიონის მიმართ ერთიანი პოლიტიკა ხელისუფლებას არ გააჩნია. მისი თქმით, უნდა შეიქმნას ისეთი ორგანო, რომელიც ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობის კოორდინაციას მოახდენს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პარლამენტარს მიაჩნია, რომ საჭიროა შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან, და რაც უფრო სწრაფად მოხდება ეს, მით უკეთესი იქნება.

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით

10 დეკემბერი ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეა. შარშან იგი საქართველომ სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმით აღნიშნა, წელს კი ჩვენი ქვეყანა ამ დღეს ანტიჰუმანური სასჯელის გაუქმებით ხვდება, – განაცხადა პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ საკაშვილმა 10 დეკემბერს ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე.

როგორც მიხეილ საკაშვილმა თქვა, საქართველომ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციები აღიარებენ. თუმცა, ერთია კანონი და სულ სხვაა ცხოვრების რეალიები. მაგალითად, პოლიტიკურ რეპრესიებზე შეკვეთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობის უმაღლესი ეშელონებიდან არ მოდის, უბრალოდ იმიგომ, რომ ამის საჭიროება არ არსებობს, თუმცა, პარლამენტარი არ გამორიცხავს ასეთი განწყობილებისა და ტენდენციების არსებობას ცალკეულ სტრუქტურებსა და სამს ხელმძღვანელობაში, რადგანაც საბჭოური ტოტალიტარული სისტემა და მენტალიტეტი კვლავ ძალაშია. ამდენად, საკაშვილის განცხადებით, შინაგან საქმეთა მინისტრის მიმართ სამოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოთქმული პოზიცია, ამ უწყების ხელმძღვანელმა პირად შეურაცხყოფად არ უნდა მიიღოს. საზოგადოებამ გამოხატა თავისი დამოკიდებულება სტრუქტურისადმი, სადაც მტკიცებულებათა მოპოვების მიზნით ადამიანის უფლებების დარღვევამ ფართო გავრცელება ჰპოვა.

მიხეილ საკაშვილმა მიულოცა ქალბატონ ელენე თევდორაძეს საუკეთესო დამცველის ტიტულის მინიჭება და იმედი გამოთქვა, რომ მომავალი წლის 10 დეკემბერს საქართველო კიდევ უფრო მთამბეჭდავი შედეგებით შეხვდება.

საქინფორმი.

ინფორ-რადარი

ისევ ტრანსკავკასიის გზის გამო ვნებანი

ეკონომიკის, ფინანსთა, თავდაცვის, საგარეო საქმეთა, ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროებმა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის, საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტებმა შეისწავლეს დაღესტნის რესპუბლიკის მთავრობის წინადადება ბექეა – ახალსოფელს შორის საავტომობილო გზის მშენებლობის შესახებ. ძირითადი აზრი ამგვარია: ეკონომიკური თვალთახედვით აღნიშნული გზის ამოქმედება გამართლებულია. დასაქმდება ხეობის მოსახლეობის დიდი ნაწილი, დამუშავდება ძვირფასი ხის მასალა, გარკვეულწილად მოხდება ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოება, თუმცა, ექსპერტთა, საგარეო საქმეთა და სხვა სამინისტროების აზრით, საქართველომ კავკასიონის ქედის სახით უნდა შეინარჩუნოს ბუნებრივი საზღვარი, რომელიც საქართველოს იცავდა და მომავალშიც დაიცავს საფრთხისაგან და უახლოეს მომავალში გზის მშენებლობის განხორციელებას შესაძლოდ არ მიიჩნევს, – იგყობინება „ობერია“.

საბორნე ხაზი – ფოთი-ნოვოროსიისკი ამოქმედდა

8 დეკემბერს ფოთი-ნოვოროსიისკის დამაკავშირებელ საბორნე ხაზი ამოქმედდა. საქართველოს სანაოსნოს ისტორიაში პირველად ფოთის პორტში საქართველოს დროშით შემოვიდა ბორანი, რომელიც პორტის ყოფილი უფროსის, აწ განსვენებული ვალერი გეგეძის სახელს ატარებს.

დღემდე არსებული არც ერთი ბორანი საქართველოს საკუთრებას არ წარმოადგენდა, ისინი უკრაინის, ბულგარეთისა და თურქეთის დროშებით დაცურავდნენ. ეს ბორანი თვეში 4 რეისს შეასრულებს.

თბილისი-ბათუმს შორის „ან-28“ ტიპის თვითმფრინავი იფრენს

ავიაკომპანია „საქართველოს საერთაშორისო ავიახაზების“ წარმომადგენლობა ლატვიის ავიაკომპანიისაგან იჯარით აიღეს „ან-28“ ტიპის მსუბუქი თვითმფრინავი შიდა ავიარეისების შესასრულებლად – თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით. მგზავრობის ღირებულება 39 ლარი იქნება, ფრენის ხანგრძლივობა 1 საათი და 15 წუთია.

ნოემბერში 9.7 ათასი ტონა ნავთობი მოიპოვეს

არსებული მონაცემებით, ნოემბერში საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულია 9,7 ათასი ტონა ნავთობი, რაც 14,2 პროცენტით ნაკლებია 10 თვის საშუალო მაჩვენებელზე. 11 თვეში კი, მთლიანად მოპოვებულია 128.000 ტონა ნავთობი, რაც 11 პროცენტით სჭარბობს შარშანდელი ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

ისევ „გადაიხადეს“. რომ... ვალი გაიზარდა

ამჟამინდელ წლის ათ თვეში ქვეყნის მრეწველობამ 818,5 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია მოიხმარა, ენერგეტიკოსებს კი 35,6 მილიონი ლარის ნაცვლად, მხოლოდ 18,6 მილიონი გადაუხადა.

დებიტორულმა დავალიანებამ პირველი ნოემბრისათვის 37,5 მილიონი ლარი შეადგინა. ოქტომბრის თვეში ვალი შემცირების მაგიერ 1,8 მილიონი ლარით გაიზარდა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მარგო საკუთარ თავზე ზრუნვა არაეთიკურია.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: „იბერიამ“, „ეროვნულ-ექს-პრესამ“, ჩვენმა კორესპონდენტებმა

განცხადება

ქართული მწერლობა ერთიანობისკენ მოგვიწოდებს

ლარსის ინციდენტში, როგორც წვეთში ოკეანე, ისე ჩანს დიდმპყრობელი რუსეთის ამბიციები: ელაპარაკოს თავისუფალ, მაგრამ მცირერიცხოვან ხალხსა და ქვეყანას მისთვის ჩვეული – ძალის, იარაღის ენაზე! ლარსში ქართველი ახალგაზრდებისა და ჟურნალისტების დარბევა დღევანდელი რუსეთის ხელისუფალთა ხელწერაა, რაც სისტემატურად, თანამიმდევრულად და უსირცხვილოდ ახორციელებს და სახელს უტეხს საკუთარ ხალხს: ორ საუკუნეზე მეტია, ითმენს საქართველო დამცირებას, აბუჩად აგდებას, ღირსების შელახვას, მაგრამ ტრაგედია, რაც რუსეთმა საქართველოს ამ ბოლო წლებში დააგხა თავს აფხაზეთსა თუ სამაჩაბლოში, ცინიზმის ყოველგვარ ზღვარს სცილდება. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რუსეთის მიერ წაქეზებული და ინსპირირებული ქართველთა გენოციდ ფაშიზმია ტოლფასია. რუსეთის მიერ საქართველოს ცნობა დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ, ჯერჯერობით, დეკლარირებულ ფორმალობას არ გასცილებია... სამწუხაროდ, ვერც რუსული ინტელიგენცია მეურიგდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ერთი ნაბიჯიც კი არ გადასდგა ჩვენი სამართლიანი ბრძოლის მხარდასაჭერად.

ლარსის ინციდენტი რუსეთის მხრიდან არის შორსგამიზნული, შეგნებული, ვირეშმაკული პროვოკაცია, რათა საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოშორდეს საქართველოს გამთლიანებისკენ მიმართულ მთავარ პრობლემებს და ორჭოფი პოლიტიკოსებისათვის შექმნას ილუზია საქართველომ რუსეთის არმიის სამშვიდობო ფუნქციის აუცილებლობის შესახებ, არმიისა, რომელსაც 31 დეკემბერს უთავდება უფლებამოსილების ვადა.

მოვუწოდებთ საქართველოს პარლამენტს: ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვას ჭოჭმანის პოლიტიკაზე, დადგეს ქართველი ერის ინტერესების სადარაჯოზე და ცნობილი, დამამცირებელი, კომპრომისული მეთოდებით აღარ გაუურძელოს რუსეთს ე. წ. „სამშვიდობო“ ვადა. ასევე: ხელისუფლებამ მკაცრი პოზიცია უნდა დაიჭიროს საქართველოს ტერიტორიაზე უცხო სახელმწიფოს – რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნა-არყოფნის საკითხის გადაწყვეტაში.

ქართული მწერლობა აცხადებს, რომ თავის ხალხთან ერთად ბოლომდე იბრძოლებს დემოკრატიული მსოფლიოს მიერ გაცხადებული ნების შესასრულებლად – თავისუფალი, დემოკრატიული საქართველოს ასამენებლად. სამართლის გამარჯვება გარდუვალია, რადგან მის აღსასრულებლად იბრძვის მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალები. ამ ძალებს წინ ვერ დაუდგება ვერანაირი ნეოკოლონიალიზმი.

ლარსის ხეობის პროვოკაცია ბოროტი ძალების აგონიის კიდევ ერთი სამარცხვინო გამოვლენაა და იგი ჩვენი ერთიანობის საწინდარი იქნება.

ქართული მწერლობა მოუწოდებს ჩვენს ხალხს ერთიანობისაკენ, რადგან ნაცადი ინსპირატორები კიდევ ბევრჯერ შეეცდებიან ჩვენს გაბიშვას, ნუ ავყვებით პროვოკაციებს!

საქართველოს მწერალთა კავშირი.

სოფელი

თავკაცი

ამ ლამაზ კოლხურ სოფელზე ბევრი რამ კარგი თქმულა და დაწერილა. როგორც იგყვიან, ჟურნალისტები აქ ყოველთვის პოულობდნენ შთაგონების წყაროს. ახალაბასთუმანი ხომ გმირი სხულუხიების სამშობლოა: აქედან წავიდა ლეგენდარული გრიგოლ სხულუხია მეორე მსოფლიო ომში, ვაქკაცურად იბრძოლა და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე. ომის წინა წლებში, ფრონტზე მოხალისედ წასვლამდე, გრიგოლი კოლმეურნეობას ხელმძღვანელობდა. ბრიგადას ხელმძღვანელობდა მისი მეუღლე ქეთევანი. სოფლისა და ოჯახის შრომითს ტრადიციებს უერთგულა მათმა ასულმა ვინარიმ, მან დამსახურებულად მიიღო შრომის გმირის წოდება.

ახალაბასთუმანში ტრადიციულად, გონიერი და უნარიანი ხელმძღვანელები ჰყავდათ. საბედნიეროდ, ასეა დღესაც. სოფელს 1994 წლის იანვრიდან გიგლა ქვანია უდგას სათავეში. იგი ამ სოფელში დაბადებული და გაზრდილი კაცია.

სოფელი ზუგდიდის გარეუბანია და ქალაქური ყაიდით ცხოვრობს. ადრე მის ტერიტორიაზე მოქმედებდა ხორცკომბინატი, ლითონკონსტრუქციების ქარხანა, სამშენებლო ბლოკებისა და ინერტული მასალის რაღენიმე საწარმო, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მუშაობდა, განვითარებული იყო მეჩაიეობა, მეცხოველეობა, მევენახეობა.

დაპირისპირებისა და განუკითხაობის წლებმა უკან დასწია ახალაბასთუმანი. მოსვლის დღიდან გიგლა ქვანიამ უპირველეს მიზნად დანგრეული მეურნეობის აღდგენა-აღორძინება დაისახა. 1995-1996 წლებში აღადგინეს გაველურებული ჩაის პლანტაციები, ხალხმა ირწმუნა.საკუთარი ძალა. დღეს სოფელი ჩვეული რიგმით შრომობს. მოკრიფეს პროგნოზით გათვალისწინებული 400 ტონა ჩაის ფოთოლი. ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი: გამართული მანქანა-ტრაქტორები, ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“... არც სათადარიგო ნაწილები და საწავ-საცხები მასალები აკლდათ. მექანიზატორები ჯემალ მუშქია და ბორის ნანავა დილაუთენია სამუშაოზე იყვნენ გასული.

კაპიტალურად შეაკეთეს საშუალო სკოლა, ბიბლიოთეკა, კლუბი; შეჭირვებული პირობების მიუხედავად, სოფელში მოქმედებს საგნობრივი წრეები, ფოლკლორული ანსამბლი და დრამატული წრე. ხშირად ეწყობა შიდასასოფლო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

მართალია, ჯერჯერობით, სოფლის ბიუჯეტი მწირია, მაგრამ გამგებელი მაინც ახერხებს იმას, რომ პედაგოგები სისტემატურად ღებულობენ ხელფასს.

კეთილმოწყობილ ამბულატორიაში ოთხი სამედიცინო მუშაკია დასაქმებული. მოსახლეობას აქ ნებისმიერ დროს შეუძლია მიიღოს სამედიცინო დახმარება.

ტრანსპორტის პრობლემაც გადაწყვეტილია. ქალაქის მიმართულებით რეგულარულად მოძრაობს ავტობუსები და ტაქსები.

წინა წლებში, როგორც სხვაგან, აქაც ხშირი იყო ყაჩაღობა, თავდასხმა. მაგრამ ბოლო ხანს მდგომარეობა მთლიანად შეიცვალა უკეთესობისაკენ.

ახალაბასთუმანი ახალი ცხოვრებით ცხოვრობს.

ოდიკ ძუხილავა,
„სრ“ საკ. კორ.

ჩვენი კოლეგის ეს წერილი ძველ თარგზეა მოჭრილი, ასე 10 წლის წინათ წერდნენ მოწინავე სოფელზე.

რატომ გამოვაქვეყნეთ?

იმიტომ, რომ სიმართლეა მოთხრობილი და გვსურს ჩვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ სოფელი ფეხზე დგება. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია.

ჟურნალისტები ცოტა ჩამოვრჩით სიახლის ამ ტალღას.

მაგრამ დაწევას ვცდილობთ თუნდაც იმით, რომ არ გამოგვრჩეს თავად ეს სიახლე.

მორიგე რედაქტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო

ბრძანება № 01/136/84

თბილისი, 1997 წლის 28 ნოემბერი

საქართველოს კანონის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის № 596 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს

„პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების ხელმოწერით გავრცელების წესები“

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების ხელმოწერით გავრცელების წესები (შემდგომში – წესები) განსაზღვრავს რედაქციის, გამომცემლის, გამავრცელებლისა და ხელმომწერთა უფლებებსა და მოვალეობებს პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების ხელმოწერით გავრცელებისას. წინამდებარე წესები შემუშავებულია საქართველოს „პრესისა და საბრძანო ინფორმაციის სხვა სამუალების შესახებ“ და „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონების საფუძველზე.

მუხლი 2.

წინამდებარე წესი ვრცელდება ყველა მეურნე სუბიექტზე (რედაქციები, პერიოდული ბეჭდვითი გამომცემლები, ბიუროები კავშირის ორგანიზაციები და დაწესებულებები, სხვა ორგანიზაციები), მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარებისა, აგრეთვე ინდივიდუალურ მეწარმეებზე, რომლებიც ეწევიან საქმიანობას პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების დამზადების და გავრცელების სფეროში საქართველოს ტერიტორიაზე.

მუხლი 3.

რედაქციები, გამომცემლები, გამავრცელებლები, საფოსტო კავშირის საწარმოები და სხვა დაწესებულებები, ორგანიზაციები, აგრეთვე ინდივიდუალური მეწარმეები, რომლებიც ეწევიან თავიანთ საქმიანობას პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების დამზადებისა და გავრცელების სფეროში საქართველოს ტერიტორიაზე, ვალდებულნი არიან დაიცვან წინამდებარე წესები.

მუხლი 4.

პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების ხელმოწერით გავრცელებას ეწევა მხოლოდ ის პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების ხელმოწერით გამავრცელებელი, რომელსაც საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროსგან მიღებული აქვს ხელმომწერის მომსახურების სპეციალური ნებართვა (ლიცენზია).

მუხლი 5.

წინამდებარე წესებში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები და განსაზღვრებები:

„ხელმოწერა“ – წინასწარი გადახდის საფუძველზე, გარკვეული ვადით ინდექსირებულ გამოცემებზე ხელმოწერის გაფორმება (ნაღდი და უნაღდო) და მომსახურების გაწევა პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის კომპლექტის აღგილზე მიგანით, რომელიც განკუთვნილია გამოშვებისათვის გარკვეული პერიოდულობით.

„პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების ხელმოწერის ტერიტორიული განაწილება“ – ურთიერთობებს წესი და პირობები რედაქციებს, გამომცემლობის, გამავრცელებლისა და ხელმომწერს შორის მოკავშირეობის შედგენისა და დამუშავების, მაგისტრალური და მიდა ეფიონული გადამიდვებისა და პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების გირაკის აღგილზე მიგანის დროს;

„ხელმომწერი“ – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ფორმებს ხელმოწერას პერიოდულ ბეჭდვით გამოცემაზე;

„პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების ხელმოწერით გამავრცელებელი“ – იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე, რომელიც რედაქციასთან, გამომცემელთან ხელშეკრულების ან სხვა კანონიერ საფუძველზე ახდენს პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის გავრცელების აღგილზე მიგანით (განაწილებით) ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პერიოდის განმავლობაში.

„პერიოდულ ბეჭდვით გამოცემაზე ხელმოწერის მიღება“ – პერიოდულ ბეჭდვით ინდექსირებულ გამოცემებზე ხელმოწერის გაფორმება აბონენგით ან ქვითრით, რომელიც აღასტურებს ხელმოწერის ფაქტის ფაქტსა და ვადას, თანხის გადახდას, პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის დასახელებასა და ხელმომწერის მისამართს (საფოსტო ინდექსის ჩვენებით), აგრეთვე გამოწერილი გამოცემის აღგილზე მიგანას.

„პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების ხელმოწერაზე მისამართის შეცვლა“ – პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებზე ხელმოწერის გადაფორმება ახალ მისამართზე.

„პერიოდულ ბეჭდვით გამოცემაზე ხელმოწერის გაუქმება“ – გაფორმებული ხელმოწერის აღგილზე მიგანით მომსახურების ხელშეკრულების დარღვევა.

თავი II

პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ხელმოწერით გავრცელების ძირითადი პრინციპები

მუხლი 6.

პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების გავრცელება ხორციელდება საბაზრო სისტემით.

საბაზრო სისტემით გავრცელებისას პერიოდული ბეჭდვითი გამოცემები გამავრცელებლის საქალაქო და რაიონულ პუნქტებში იგზავნება საერთო რაოდენობით, მათი შემდგომი დამუშავების, დარიგებისა და მისამართზე მიგანისათვის.

მუხლი 7.

ხელმოწერის პირობებს (გავრცელების წესს, გავრცელების ტერიტორიას, გამოცემის მოცულობას, გამოცემის პერიოდულობას, მიმდინარე და მაქსიმალურ პერიოდებს) აღგენენ რედაქციები, გამომცემლები და გამავრცელებლები ერთობლივად.

მუხლი 8.

ხელმოწერის წესს (პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებზე ხელმოწერა და შეკვეთა, გამოცემის მიღების აღგილი და მისი თავისებურებანი) აღგენს გამავრცელებელი.

მუხლი 9.

პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ხელმოწერისა და საგამომცემლო ფასს (საკაგალოგო) აღგენენ რედაქციები, გამომცემლები და გამავრცელებლები, ხოლო აღგილზე მიგანის ფასს – გამავრცელებელი რედაქციასთან და გამომცემელთან შეთანხმებით.

მუხლი 10.

პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებზე ხელმოწერის წესსა და პირობებზე მოსახლეობის ინფორმირებას ახორციელებენ რედაქციები, გამომცემლები, გამავრცელებლები, მასობრივი ინფორმაციის სამუალებების მეშვეობით, როგორც ხელმოწერის კამპანიის რეკლამის დაწყებამდე, ასევე მისი მიმდინარეობის დროს.

თავი III

რედაქციების, გამომცემლების უფლებები და მოვალეობები

მუხლი 11.

რედაქცია დებს ხელშეკრულებას გამავრცელებელთან პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ხელმოწერით გავრცელების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს გავრცელების პირობებს და წესს, ხელმოწერის ტირაჟსა და გამოსვლის გრაფიკს. მხარეები აწარმოებენ მოლაპარაკებას ურთერთპასუხისმგებლობაზე და სადავო საკითხების გადაწყვეტაზე.

მუხლი 12.

რედაქცია, გამომცემელი ვალდებულია ხელმოწერის დაწყებამდე აწოდოს გამავრცელებელს ხელმოწერაზე სარწმუნო ინფორმაცია პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის შესახებ (მისი ძირითადი სახელმძღვანელო თვისებების აღწერის ჩათვლით), რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის არჩევანის გაკეთებას.

მუხლი 13.

რედაქცია, გამომცემელი თავისი ხარჯებით აცნობებს ხელმოწერს, დამოუკიდებლად ან გამავრცელებლის მეშვეობით პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის პოლიგრაფიული წუნის მქონე ეგზემპლარების გამოცვლის პირობებსა და წესს.

მუხლი 14.

რედაქციის, გამომცემლის მიერ ხელმოწერის გაუქმება შეიძლება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

თავი IV

გამავრცელებლის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 15.

რედაქციასთან, გამომცემელთან პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ხელმოწერით გავრცელების შესახებ ხელშეკრულების დადებისას, გამავრცელებელი ვალდებულია მოითხოვოს გამოცემის რეგისტრაციის მოწმობის ასლი.

მუხლი 16.

გამავრცელებელი აუცილებლობის შემთხვევაში პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებს ანიჭებს სახელმოწერო ინდექსს და გამოსცემს შესაბამის კაგალოგებს. კაგალოგებში მითითებული უნდა იყოს რედაქციის, გამომცემლის მისამართი და ტელეფონის ნომერი.

მუხლი 17.

ხელმოწერის მიღების პუნქტების მუშაობის რეჟიმი, თუ ისინი არიან კავშირგაბმულობისა და ფოსტის სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები დგინდება საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს მიერ.

ხელმოწერის მიღების პუნქტების მუშაობის რეჟიმი, თუ ისინი ეკუთვნიან საწარმოებს, რომელთა საკუთრების ფორმა სხვაა, ადგენს მფლობელი საწარმო ან მისი უფლებამოსილებით აღჭურვილი ორგანოები.

მუხლი 18.

გამავრცელებელი ვალდებულია ხელმოწერის დაწყებამდე მასობრივი ინფორმაციის სამუალებით მოსახლეობას მიაწოდოს ინფორმაცია ხელმოწერის მიმღები პუნქტების მუშაობის რეჟიმისა და აღგილმდებარეობის, ხელმოწერის ვადების, ხელმოწერის ფასების, პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების აღგილზე მიგანის ვადის შესახებ.

ხელმოწერის მიმღები პუნქტები ვალდებულნი არიან გამოფინონ აბრები თავიანთი საქმიანობის, პროფილისა და ორგანიზაციის ფორმის დასახელებით, თუ ასეთი არსებობს, მუშაობის რეჟიმის აღნიშვნით. ხელმოწერისას პუნქტები ვალდებულნი არიან აბრაზე აღნიშნონ გამავრცელებლის იურიდიული მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი.

მუხლი 19.

გამავრცელებელი უზრუნველყოფს ხელმოწერის მიღებას მოსახლეობისაგან, საწარმოებისაგან, დაწესებულებებისაგან, ორგანიზაციებისაგან კაგალოგის მიხედვით.

მუხლი 20.

გამავრცელებელი ვალდებულია უზრუნველყოს პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების აღგილზე მიგანა დადგენილ ვადებში.

მუხლი 21.

პერიოდულ ბეჭდვით გამოცემებზე ხელმოწერის მიღებისა და ტირაჟის აღგილზე მიგანისას დამაგებითი გადასახადის გადახდის შემთხვევაში, გამავრცელებელს შეუძლია გასწიოს: დამაგებითი მომსახურება (პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის შენახვა, პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის სხვა მისამართზე გადაგზავნა, ხელმოწერის დოკუმენგების ხელმოწერის მაგიერ შევსება, ხელმოწერის მიღება გამავრცელებლის სახლში გამოძახებით და სხვა).

თავი V

ხელმომწერის უფლებები და მოვალეობები

მუხლი 22.

ხელმომწერის უფლებების დაცვა ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 23.

ხელმომწერს უფლება აქვს მოითხოვოს გამავრცელებლისაგან სარწმუნო ინფორმაცია მისი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შესახებ; პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების, რომელსაც იგი ავრცელებს, დამაგებითი მომსახურების ფორმების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია, აგრეთვე წინამდებარე წესები უნდა მიეწოდოს ხელმომწერს თვალსაჩინო და ხელმისაწვდომი ფორმით.

მუხლი 24.

ხელმომწერს უფლება აქვს გამოიწეროს პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა სრული ვადით, ვადის ნაწილით ან წყვეტილი ვადით.

მუხლი 25.

ხელმომწერს უფლება აქვს ხელმოწერის საფასური გადაიხადოს როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

მუხლი 26.

ხელმომწერს უფლება აქვს გააუქმოს ხელმოწერა გამავრცელებლის მიერ ადრე გაწეული სამუშაოს ღირებულებისა და ხელმოწერის გაუქმებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების პირობით.

მუხლი 27.

ხელმომწერი ვალდებულია იხელმძღვანელოს ხელმოწერის დოკუმენგების შევსების გამავრცელებლის მიერ დადგენილი წესით. ხელმომწერის მიერ ამ მოთხოვნების დაუცველობის შემთხვევაში, გამავრცელებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 28.

ხელმოწერის გაფორმებისას გამავრცელებელი ვალდებულია გასცეს დოკუმენგი (აბონემენგი), რომელიც აღასტურებს ხელმოწერის ფაქტსა და ვადას, პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის დასახელებისა და მიღების მისამართის აღნიშვნით. ხელმომწერის ყველა პრეგენზია განიხილება მხოლოდ ასეთი დოკუმენგის წარდგენის შემთხვევაში.

მუხლი 29.

პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის პოლიგრაფიული წუნის მქონე ეგზემპლარის მიღებისას, მომხმარებელს უფლება აქვს წარუდგინოს რედაქციას პრეგენზია გამომცემლის ან გამავრცელებლის პირგასამგეხლოსა და ზარალის ანაზღაურებაზე.

მუხლი 30.

გამავრცელებლის მიერ ადრე გამოცხადებული პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ადგილზე მიგანის (განაწილების) ვადების შეუსრულებლობის, მათი დაგვიანებით გამოსვლის შემთხვევაში, ხელმომწერს უფლება აქვს წარუდგინოს პრეგენზია რედაქციას, გამომცემელს, გამავრცელებელსა და მოითხოვოს პირგასამგეხლო და ზარალის ანაზღაურება.

მუხლი 31.

პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის მიუღებლობის ან მისი დაგვიანებით მიღების შემთხვევაში, მომხმარებელს აქვს უფლება თავისი არჩევანის მიხედვით დანიშნოს გამოცემის მიღების ახალი ვადა, მოითხოვოს ეგზემპლარის სახელმოწერო ღირებულების დაბრუნება, ზარალის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იყო ეგზემპლარის შეძენით სხვა პირისაგან, ხელმოწერის გაუქმება და მისი საფასურის დაბრუნება.

მუხლი 32.

პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის პოლიგრაფიული წუნის მქონე ეგზემპლარის მიღების შემთხვევაში, თუ დაკარგულია სასაქონლო სახე, ხელმომწერს უფლება აქვს მოითხოვოს: ეგზემპლარის გამოცვლა, ზარალის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია ეგზემპლარის შეძენით მესამე პირთან, ეგზემპლარის ღირებულების დაბრუნება, ხელშეკრულების გაუქმება და ზარალის ანაზღაურება.

მუხლი 33.

ხელმომწერების მიერ წარდგენილი პრეგენზიების მიღება პოლიგრაფიული წუნის მქონე ეგზემპლარების მიღების ან მიუღებლობის შემთხვევაში, ხდება ერთი თვის ვადაში, ხოლო წიგნებსა და ჟურნალებზე გეგმიური გამოსვლის დღიდან – ორი თვის ვადაში.

მუხლი 34.

გამავრცელებელს უფლება არა აქვს ხელმომწერს თავს მოახვიოს დამაგებითი მომსახურება, რომლისთვისაც გათვალისწინებულია დამაგებითი გადასახადი. ხელმომწერს უფლება აქვს მოითხოვოს ის თანხა, რომელიც მისი ნებართვის გარეშე იყო აღებული დამაგებითი მომსახურებისათვის.

თავი VI

მხარეთა პასუხისმგებლობა

მუხლი 35.

რედაქცია, გამომცემელი პასუხისმგებელია ხელმომწერის წინაშე პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის დროული გამოსვლისათვის. პერიოდულ ბეჭდვითი გამოცემის გამოსვლაში შეფერხების ან მოცულობის შეცვლის შემთხვევაში რედაქცია, გამომცემელი ვალდებულია დროულად აცნობოს ამის შესახებ გამავრცელებელს წერილობით და ხელმომწერთ – მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

მუხლი 36.

პოლიგრაფიული წუნის მქონე, სასაქონლო სახე დაკარგული პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის შეცვლა ხდება წარდგენილი სათანადო მოთხოვნის საფუძველზე და იგი უნდა შესრულდეს დაუყოვნებლივ.

აღნიშნული წუნიანი ეგზემპლარის დაუყოვნებლივ გამოცვლის შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოცვლა უნდა მოხდეს სათანადო მოთხოვნის წარდგენიდან ერთი თვის განმავლობაში.

წარდგენილი მოთხოვნის შესრულების ვადის გადაცილების ყოველი დღისათვის რედაქცია, გამომცემელი იხდის პირგასამგეხლოს ხელმოწერის უხარისხო ეგზემპლარის საერთო ღირებულების 1 პროცენგის ოდენობით უხარისხო ეგზემპლარის გამოცვლამდე ან ხელმომწერის მიერ სხვა მოთხოვნის წამოყენებამდე, რომელიც გათვალისწინებულია ამ წესების მე-11 მუხლით.

მუხლი 37.

პერიოდული ბეჭდვითი გამოცემა, რომელიც ხელმომწერმა არ მიიღო შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, რომელიც წარედგინება გამავრცელებელს ან რედაქციას, გამომცემელს, უნდა იყოს მიგანილი აღგილზე ახალი ვადების გათვალისწინებით, რომელსაც ნიშნავს ხელმომწერი.

გამოცემის ეგზემპლარის დაუყოვნებლივ მიგანის შეუძლებლობის შემთხვევაში, იგი უნდა გადაეცეს ხელმომწერს ერთი თვის ვადაში მოთხოვნის წარდგენის დღიდან.

მოთხოვნის შესრულების ვადის გადაცილების ყოველი დღისათვის გამავრცელებელმა ან რედაქციამ, გამომცემელმა უნდა გადაიხადოს პირგასამგეხლო აღგილზე მიგანის მომსახურების ღირებულების 1 პროცენგის ოდენობით მომსახურების განახლებამდე ან ხელმომწერის მიერ ახალი მოთხოვნის წარდგენამდე, რომელიც გათვალისწინებულია ამ წესების III თავის მუხლებით.

მუხლი 38.

ზარალი, რომელიც განიცადა ხელმომწერმა პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის გამოუსვლელობით, დროულად მიუღებლობით, სასაქონლო სახედაკარგული პოლიგრაფიული წუნის მქონე ეგზემპლარის მიღებით, ექვემდებარება სრულ ანაზღაურებას.

მუხლი 39.

პირგასამგეხლოსა და ზარალის ანაზღაურების გადახდა არ ათავისუფლებს რედაქციას, გამომცემელს, გამავრცელებელს აღრე აღებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 40.

პირგასამგეხლო, რომელიც გადაეხდება ხელმომწერს, არ უნდა აჭარბებდეს პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ღირებულებას ამოღების მომენგში.

მუხლი 41.

რედაქცია, გამომცემელი და გამავრცელებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ხელმომწერის წინაშე, თუ მათ თავიანთი მოვალეობა ვერ შეასრულეს სგიქიით, ხანძრით, მიწისძვრითა და კატასტროფით (უბედურებით) გამოწვეული მიზეზებით, აგრეთვე იმ მიზეზებით, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 42.

პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის უშუალოდ გამავრცელებლისაგან მიღებით ხელმოწერის გაფორმების შემთხვევაში, მას ეკისრება გამავრცელებლისათვის პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის შენახვით მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

მუხლი 43.

პასუხისმგებლობა რედაქციას, გამომცემელსა და გამავრცელებელს შორის განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით. ამ წესების მე-14 და მე-15 მუხლების შესაბამისად რედაქციები, გამომცემლები და გამავრცელებლები თავიანთი მოვალეობის შესრულებისათვის პასუხს აგებენ მოქალაქე-ხელმომწერთა წინაშე.

რედაქციების, გამომცემლობისა და გამავრცელებლების პასუხისმგებლობა ხელმომწერთა წინაშე, რომლებიც იურიდიული პირები არიან, განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით.

მუხლი 44.

უთანხმოებანი, რომელიც დაკავშირებულია პერიოდული ბეჭდვითი გამოცემის ხელმოწერით მიღებასთან, განიხილება სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 45.

წინამდებარე წესების სისტემაგური უხეში დარღვევისათვის მეურნე სუბიექტს, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება ჩამოერთვას პერიოდული ბეჭდვითი გამოცემების ხელმოწერით გავრცელების უფლება (ლიცენზია).

თავი VII

კონტროლი

მუხლი 46.

წინამდებარე წესების დაცვაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 47.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ანგიმონოპოლიური სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

თავი VIII

წესების ამოქმედების ვადები

მუხლი 48.

წინამდებარე წესები ამოქმედდეს 1998 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრი	საქართველოს ეკონომიკის მინისტრი
შრ. ინჯია.	**ვ. პაპავა.**

შენიშვნა: ყველა უფლება დაცულია. საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ერთობლივი წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია წინამდებარე დოკუმენტის ნებისმიერი ნაწილის გადაბეჭდვა ან გამოცემა ნებისმიერი ფორმით.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო

ბრძანება № 01/137/85

თბილისი, 1997 წლის 28 ნოემბერი

საქართველოს კანონის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის № 596 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს

„სადენური მაუწყებლობით (რადიოფიკაციით) მომსახურების გაწევის წესები“

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

სადენური მაუწყებლობით (რადიოფიკაციით) მომსახურების გაწევის წესები (შემდგომში – წესები) შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავს სადენური მაუწყებლობით (რადიოფიკაციით) მომსახურების წესებსა და პირობებს. წინამდებარე წესების დაცვა აუცილებელია ყველა მეურნე სუბიექტისათვის, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმებისა და უწყებრივი დაქვემდებარებისა.

მუხლი 2.

წინამდებარე წესები არ ვრცელდება სპეციალური დანიშნულების გამოყოფილ ქსელებზე, მათ შორის სამთავრობო კავშირგაბმულობის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების, აგრეთვე მიდასაწარმოო და ტექნოლოგიური დანიშნულების სადენური მაუწყებლობის (რადიოფიკაციის) ქსელებზე.

მუხლი 3.

წინამდებარე წესებში გამოიყენება შემდეგი ტერმინები და განსაზღვრებები:

„მომხმარებელი“ – იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომლებიც იყენებენ ან გააჩნიათ განმზრახვა გამოიყენონ სადენური მაუწყებლობის (რადიოფიკაციის) მომსახურება.

„მეურნე სუბიექტი“ – იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომლებიც ეწევიან სადენური მაუწყებლობით (რადიოფიკაციით) მომსახურებას მათი წესდების და სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე, წინამდებარე წესების დაცვით და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

„სადენური მაუწყებლობა“ – ელექტროკავშირის სახე, ტექნიკური ნაგებობებისა და მოწყობილობების კომპლექსი (რადიოსაგრანსლიაციო კვანძები, კომუგაციის სისტემები, პროგრამის მიწოდების და მართვის არხები, სახაო ქსელები, სააბონენგო გაყვანილობები და მოწყობილობანი), რომელიც განკუთვნილია მაუწყებლობის პროგრამების სადენებით მოსახლეობასა და სხვა მომხმარებელზე მიწოდებისათვის.

„სადენური მაუწყებლობის კვანძი“ – სადენური მაუწყებლობის (რადიოფიკაციის) სადგურებისა და სახაო ნაგებობების კომპლექსი, განკუთვნილი იურიდიული და ფიზიკური პირების მომსახურებისათვის განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

„სააბონენტო რადიოწერტილი“ – ელექტროაკუსტიკური მოწყობილობა (სააბონენტო ხმამაღალა მოლაპარაკე, სამ პროგრამიანი სადენური მაუწყებლობის მიმღები, რადიო ყურსაცემი, აგრეთვე სერტიფიცირებული სხვა ტექნიკური მოწყობილობა, რომელსაც შეუძლია მიიღოს სადენური მაუწყებლობის ქსელის სიგნალები და არ იმოქმედოს სადენური მაუწყებლობის მუშაობაზე), განკუთვნილი სადენური მაუწყებლობის ქსელით რადიოპროგრამების მისაღებად.

მუხლი 4.

სადენური მაუწყებლობით (რადიოფიკაციით) მომხმარებლების მომსახურებას ეწევა მხოლოდ ის მეურნე სუბიექტი, რომელსაც საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროსგან მიღებული აქვს სპეციალური ნებართვა (ლიცენზია).

მუხლი 5.

სადენურ მაუწყებლობის ქსელზე დაიშვება მხოლოდ იმ მოწყობილობების მიერთება, რომლებიც სერტიფიცირებულია საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს მიერ და პასუხობენ მომსახურე პერსონალისა და მომხმარებლების სიცოცხლის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის და ტექნიკური ნაგებობების უსაფრთხოების მოთხოვნებს.

მუხლი 6.

მეურნე სუბიექტები ერთმანეთთან და მომხმარებლებთან ურთიერთდამოკიდებულებას ამყარებენ ხელშეკრულების საფუძველზე. სადენური მაუწყებლობით მომსახურების სარგებლობაზე ხელშეკრულების დადებისას მისი პირობები არ უნდა ლახავდეს მომხმარებლის უფლებებს.

მუხლი 7.

სადენური მაუწყებლობით მომხმარებლების მოშსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სგანდარგების მოთხოვნებს, ტექნიკურ ნორმებს, ხელშეკრულების პირობებს, აგრეთვე მეურნე სუბიექტის ინფორმაციას მომსახურების შესახებ.

მუხლი 8.

სადენური მაუწყებლობით (რადიოფიკაციით) მომსახურების ერთიან სგანდარგებს და ტექნიკურ ნორმებს ამუშავებს და ამტკიცებს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო, მათი დაცვა სავალდებულოა მეურნე სუბიექტებისათვის და მომხმარებლებისათვის.

მუხლი 9.

სადენური მაუწყებლობის გრანსლირებული გადაცემების, პროგრამების და ცნობების შინაარსზე პასუხს აგებენ ის მეურნე სუბიექტები, რომლებიც ახორციელებენ მათ მომზადებას და გაშვებას.

მუხლი 10.

სააბონენგო მოწყობილობებს, რომლებიც განკუთვნილია სადენური მაუწყებლობის პროგრამების მისაღებად, იძენს მომხმარებელი და წარმოადგენს მის საკუთრებას.

თავი II

სადენური მაუწყებლობით მომსახურება

მუხლი 11.

სადენური მაუწყებლობით მომსახურების ფორმას და სახეობას განსაზღვრავს თვით მეურნე სუბიექტი მისთვის გაცემული ლიცენზიის და მომხმარებლის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 12.

მეურნე სუბიექტი, რომელიც ეწევა სადენური მაუწყებლობით მომსახურებას, ვალდებულია მომხმარებლებს უსასყიდლოდ მიაწოდოს ინფორმაცია მომსახურებათა ფორმებზე და სახეობებზე, მომსახურების წესებსა და გარიფების შესახებ.

მუხლი 13.

სადენური მაუწყებლობით მომსახურებათა ძირითადი სახეობანია:

ა) სააბონენგო რადიოწერგილი სარგებლობა;

ბ) სააბონენგო რადიოწერგილების დაყენება აბონენგების წერილობითი განცხადების საფუძველზე;

გ) რადიოფიცირებულ საცხოვრებელ სახლებში სააბონენგო რადიოწერგილების ჩართვა;

დ) გამორთული სააბონენგო რადიოწერგილების ჩართვა;

ე) მომხმარებლის ინიციაგივით ხელშეკრულების გაუქმებისას სააბონენგო რადიოწერგილების სადენური მაუწყებლობის ქსელიდან გამორთვა;

ვ) მომხმარებლის ბინაში ან შენობაში კაპიგალური რემონგის ჩაგარების დროს ლიკვიდირებული სააბონენგო რადიოწერგილის აღდგენა მომხმარებლის ხარჯებით;

ზ) სააბონენგო რადიოწერგილებისა და სადენური მაუწყებლობის ქსელის დამიანების აღმოფხვრა აბონენგთა განცხადების საფუძველზე.

მუხლი 14.

სადენური მაუწყებლობით მომსახურების დამატებითი სახეობებია:

ა) დამატებითი რადიოწერგილის დაყენება;

ბ) მრავალპროგრამიანი სადენური მაუწყებლობის ქსელით მომხმარებლისთვის დამატებითი პროგრამების მიწოდება.

მუხლი 15.

მეურნე სუბიექტის მიერ სადენური მაუწყებლობის ქსელით პროგ-

(იხილეთ მე-4 გვ.)

საქართველოს რესპუბლიკა
№310. ხუთშაბათი, 11 დეკემბერი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო

ბრძანება № 01/137/85

თბილისი, 1997 წლის 28 ნოემბერი

საქართველოს კანონის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის № 596 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს

„სადენური მაუწყებლობით (რადიოფიკაციით) მომსახურების გაწევის წესები“

(დასასრული)

რამების და სხვა ინფორმაციის გავრცელება განისაზღვრება ხელშეკრულებით, ფიქსირდება განრიგით და არის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

განრიგში მითითებული უნდა იყოს, თუ რა დროიდან იწყება რადიომაუწყებლობა, როდის და როგორი პროგრამები იქნება გრანსლირებული, რა სიხშირეზე ან რომელ სადენურ არხზე ხორციელდება მაუწყებლობა.

მეურნე სუბიექტი ვალდებულია დროულად აცნობოს მომხმარებელს ქსელის მუშაობის განრიგი.

მუხლი 16.

სადენური მაუწყებლობის კვანძების მუშაობის ძირითადი დრო განისაზღვრება 6 საათიდან 24 საათამდე თბილისის დროით, სამუშაო დღეებში პროფილაქტიკური და სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად არა ნაკლებ ერთი საათის შესვენებით.

მუხლი 17.

მაუწყებლობის პროგრამის მიწოდების სისტემის პროფილაქტიკის დღეებში, სადენური მაუწყებლობის კვანძებში დასაშვებია დადგენილი წესით რეგისტრირებული სხვა მოქმედი წყაროების პროგრამების გამოყენება, ხოლო მათი არარსებობის (უქონლობის) შემთხვევაში სადენური მაუწყებლობის კვანძები დროებით შეუწყვეტენ მაუწყებლობას, პროგრამების მიმწოდებელი ძირითადი წყაროს მუშაობის აღდგენამდე.

მუხლი 18.

მაუწყებლობის განაწესში ცვლილებები უნდა გაფორმდეს დოკუმენტალურად ხელშეკრულებით მითითებულ ვადებში და ამის შესახებ თავისდროულად ეცნობოს მომხმარებელს.

მუხლი 19.

მეურნე სუბიექტებს უფლება აქვთ შეწყვიტონ დაგეგმილი გადაცემები სასწრაფო, მნიშვნელოვანი გადაცემების გრანსლაციისათვის, სტიქიური უბედურების, ან იმ შემთხვევებისა და გარემოებების ცნობებისას, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, აგრეთვე მაუწყებლობის განრიგის დარღვევის შემთხვევებში, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით მეურნე სუბიექტსა და მომხმარებელს შორის.

მუხლი 20.

სააბონენტო რადიოწერგილების დაყენება, გადაადგილება, ჩართვა და გამორთვა სრულდება მეურნე სუბიექტის ძალებით და მომხმარებლის ხარჯებით. შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების გადახდის წესი განისაზღვრება მეურნე სუბიექტსა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულებით.

მუხლი 21.

ტექნიკური შესაძლებლობების და ეკონომიკური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით სადენური მაუწყებლობის მოქმედ ქსელში სააბონენტო რადიოწერგილების ჩართვის სამუშაოებს აგარებს მეურნე სუბიექტი.

მუხლი 22.

მეურნე სუბიექტი ვალდებულია მომხმარებელს გაუწიოს სადენური მაუწყებლობით მომსახურება ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში.

მომსახურების ვადები განისაზღვრება თარიღით, როდესაც მეურნე სუბიექტი უნდა შეუდგეს მის შესრულებას.

მუხლი 23.

მომხმარებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს დაარღვიოს ხელშეკრულება მომსახურების გაწევამდე იმ პირობით, თუ მეურნე სუბიექტს გადაუხდის გასამრჯელოს გაწეული მომსახურებისათვის და აუნაზღაურებს მას ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეულ ზარალს.

მუხლი 24.

სააბონენტო რადიოწერგილის დაბიანების შესახებ განცხადება მომხმარებელმა უნდა შეიტანოს სარემონტო ბიუროში, სადისპეტჩეროში ან ამ მიზნით დადგენილ სხვა პუნქტებში წერილობით, ზეპირის სახით ან ტელეფონით.

მეურნე სუბიექტი მომხმარებელს აწვდის ინფორმაციას ხელმისაწვდომი ფორმით მომხმარებელთა განცხადებების მიღების ადგილზე და საავარიო სამსახურების ტელეფონების ნომრებზე.

თავი III
სადენური მაუწყებლობით მომსახურების ტარიფები

მუხლი 25.

სახელმწიფო და შერეული საკუთრების ფორმის სადენური მაუწყებლობით (რადიოფიკაციით) მომსახურების გარიფებს არეგულირებს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით და ახორციელებს მათი დაცვის კონტროლს.

კერძო საკუთრების სადენური მაუწყებლობით მომსახურების გარიფების ადგენს მისი მესაკუთრე.

სადენური მაუწყებლობით მომსახურებაზე დაწესებული შეღავათების, კომპენსირება ხორციელდება შეღავათის დამწესებელი იურიდიული პირების ან ორგანოების მიერ.

მუხლი 26.

სააბონენტო რადიოწერგილით სარგებლობისათვის მომხმარებელს შეაქვს ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი.

მუხლი 27.

სააბონენტო გადასახადი მომხმარებლისგან მიიღება ნებისმიერი ვადით, მაგრამ არანაკლებ ერთი თვისა. სადენური მაუწყებლობით მომსახურებაზე გარიფების შეცვლისას ხორციელდება სააბონენტო ქირის გადაანგარიშება (გადახდილი თანხის გათვალისწინებით) აბონენტის საეალდებულო წინასწარი გაფრთხილებით. სააბონენტო ქირის გადახდის ადგილი და წესი განისაზღვრება მეურნე სუბიექტის მიერ.

მუხლი 28.

სააბონენტო რადიოწერგილით სარგებლობისათვის გადახდა წყდება:

— მომხმარებლის მიერ სადენური მაუწყებლობის მომსახურებაზე უარის თქმის განცხადების შეგანის დღიდან;

— მომხმარებლის სხვა საცხოვრებელ ადგილზე გადასვლისას;

მუხლი 29.

სააბონენტო რადიოწერგილის უმოქმედობის ან მისი არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შემთხვევაში, რაც აბონენტის მიზეზით არ არის გამოწვეული, რადიოწერგილით სარგებლობისათვის გადასახადი არ შეიგანება რადიოწერგილის უმოქმედობის მთელი პერიოდისათვის.

სააბონენტო რადიოწერგილის მუშაობის აღდგენისას ხდება შეგანილი სააბონენტო ქირის გადაანგარიშება მორიგი გადასახადიდან რადიოწერგილის უმოქმედობის პერიოდისათვის მიღებული თანხის ნაწილის გამოკლებით.

თავი IV
მეურნე სუბიექტების და მომხმარებლების პასუხისმგებლობა

მუხლი 30.

მეურნე სუბიექტი პასუხისმგებელია მომხმარებლის წინაშე თავისი მოვალეობის შეუსრულებლობაზე ან არასათანადოდ შესრულებაზე. პასუხისმგებლობის ზომა და წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 31.

მეურნე სუბიექტის მიერ სადენური მაუწყებლობით მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში აბონენტი უფლებამოსილია თავისი არჩევანის მიხედვით:

ა) დაინიმნოს მომსახურების გაწევის ახალი ვადა;

ბ) დაარღვიოს ხელშეკრულება.

შემოსული პრეტენზიების დაკმაყოფილება ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

მუხლი 32.

სადენური მაუწყებლობით მომსახურების გაწევისას მეურნე სუბიექტის მიერ ხარისხთან დაკავშირებული ვალდებულებების დაუცველობის შემთხვევაში, აბონენტი, რომელსაც მომსახურება გაეწია ხარვეზებით, უფლებამოსილია თავისი არჩევანით მოითხოვოს:

ა) ნორმალური ხარისხის მომსახურების გაწევა;

ბ) მომსახურების გაწევაში არსებული ნაკლოვანებების უსასყიდლოდ აღმოფხვრა;

გ) ხელშეკრულების დარღვევა.

შემოსული პრეტენზიების დაკმაყოფილება ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

მუხლი 33.

მეურნე სუბიექტს მომხმარებლის წინაშე პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ თავისდროული და ხარისხიანი მომსახურება შეუძლებელი გახდა მომხმარებლის მიზეზით ან წარმოქმნილი დაუძლეველი წინააღმდეგობის გამო.

მუხლი 34.

მომხმარებელი პასუხს აგებს მეურნე სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების დროულად გადახდაზე. მომხმარებლის მიერ მიღებული მომსახურების ღირებულების დადგენილ ვადებში გადაუხდელობისთვის მეურნე სუბიექტს უფლება აქვს გაუთიშოს რადიოწერგილი და გათიშვიდან ერთი თვის განმავლობაში, მომხმარებლის მიერ მომსახურების და რადიოწერგილის ხელახალი ჩართვის ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, მოუხსნას რადიოწერგილი, ხოლო მომხმარებელზე რიცხული დავალიანება ამოიღოს დადგენილი წესით.

მუხლი 35.

მომხმარებელი ვალდებულია მეურნე სუბიექტს დროულად შეატყობინოს რადიოწერგილის დაზიანება და უმრუნველყოს მეურნე სუბიექტის საავარიო სამსახურის მუშაკების დაზიანების ადგილზე გამვება.

მუხლი 36.

მომხმარებლის მიზეზით დაზიანებული რადიოსატრანსლაციო ქსელის ან სააბონენტო ხაზის აღდგენა ხდება მომხმარებლის ხარჯებით.

მუხლი 37.

მეურნე სუბიექტის და მომხმარებლის მიერ ერთმანეთისთვის წაყენებული პრეტენზიები შეძლებისდაგვარად უნდა მოგვარდეს ნებაყოფლობით ორივე მხარის მოლაპარაკებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოდავე მხარეებს შეუძლიათ მიმართონ ზემდგომ ორგანოებს ან სასამართლოს.

მუხლი 38.

წერილობით წარდგენილი პრეტენზიის განხილვას მეურნე სუბიექტი აწარმოებს მისი მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში. პრეტენზიის განხილვის შედეგები მომხმარებელს წერილობით ეცნობება. პრეტენზიის განხილვასთან დაკავშირებული მიმოწერა უნდა ინახებოდეს 5 წლის განმავლობაში.

მუხლი 39.

მეურნე სუბიექტს შეუძლია მომხმარებელს უარი უთხრას სადენური მაუწყებლობით მომსახურებაზე, თუ:

ა) მომხმარებლის მოთხოვნის შესრულება აღემატება სუბიექტის საწარმოო შესაძლებლობებს ან ლიცენზიაში აღნიშნულ პირობებს;

ბ) მომხმარებელი არღვევს წინამდებარე წესებს.

მუხლი 40.

წინამდებარე წესების სისტემატური უხეში დარღვევისათვის მეურნე სუბიექტს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება ჩამოერთვას სადენური მაუწყებლობით (რადიოფიკაციით) მომსახურების უფლება (ლიცენზია).

თავი V
კონტროლი

მუხლი 41.

წინამდებარე წესების დაცვაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 42.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

თავი VI
წესების ამოქმედების ვადები

მუხლი 43.

წინამდებარე წესები ამოქმედდეს 1998 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრი
ფრ. ინგილო.

საქართველოს ეკონომიკის მინისტრი
ვ. პაპავა.

შენიშვნა: ყველა უფლება დაცულია. საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ერთობლივი წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია წინამდებარე დოკუმენტის ნებისმიერი ნაწილის გადაბეჭდვა ან გამოცემა ნებისმიერი ფორმით.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო

ბრძანება № 01/138/86

თბილისი, 1997 წლის 28 ნოემბერი

საქართველოს კანონის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის № 596 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს

„სატელეგრაფო კავშირით მომსახურების გაწევის წესები“

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

სატელეგრაფო კავშირით მომსახურების გაწევის წესები (შემდგომში — წესები) შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის მესაბამისად და განსაზღვრავენ სატელეგრაფო მომსახურების წესებს და პირობებს, რომლებიც სავალდებულოა ფიზიკური პირებისათვის და ნებისმიერი საკუთრების ფორმის და უწყებრივი დაქვემდებარების მეურნე სუბიექტისათვის.

მუხლი 2.

წინამდებარე წესები არ ვრცელდება სპეციალური დანიშნულების გამოყოფილ ქსელებზე, მათ შორის — სამთავრობო კავშირგაბმულობის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების, აგრეთვე მაღა საწარმოო და ტექნოლოგიური დანიშნულების სატელეგრაფო კავშირის გამოყოფილ ქსელებზე, რომლებსაც გასასვლელი არა აქვთ საერთო სარგებლობის სატელეგრაფო ქსელებზე.

მუხლი 3.

წინამდებარე წესებში გამოიყენება შემდეგი ტერმინები და განსაზღვრებები:

„მომხმარებელი“ — იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომლებიც იყენებენ ან გააჩნიათ განზრახვა გამოიყენონ სატელეგრაფო კავშირის მომსახურება.

„მეურნე სუბიექტი“ — იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომლებიც ეწევიან სატელეგრაფო კავშირებით მომსახურებას მათი წესდების და სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე, წინამდებარე წესების დაცვით და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

„კატეგორიის გარეშე“ და **„რიგგარეშე“ დეპეშები** — მომხმარებელთა სია, დეპეშების დამუშავების წესი და ვადები განისაზღვრება საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის, თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ.

„სქემური დეპეშა“ და **„კრიპტოგრამა“** — მიიღება მხოლოდ იურიდიული პირებისგან.

„სერტიფიკატი“ — დოკუმენტი, რომელსაც გასცემს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო სერტიფიკაციის წესების შესაბამისად და რომელიც შეიცავს დასკვნას, რომ იდენტიფიცირებული პროდუქცია, მომსახურება ან პროცესი შეესაბამება მოქმედ სტანდარტს ან სხვა ნორმატიულ დოკუმენტს.

მუხლი 4.

სატელეგრაფო კავშირით მომხმარებლის მომსახურებას ეწევა მხოლოდ ის მეურნე სუბიექტი, რომელსაც საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროსაგან მიღებული აქვს აღნიშნული კავშირით მომხმარებლის მომსახურების სპეციალური ნებართვა (ლიცენზია).

მუხლი 5.

საქართველოს ტერიტორიაზე მეურნე სუბიექტებს შორის სამსახურებრივი ურთიერთობანი და სასამსახურო საქმის წარმოება სახელმწიფო — ქართულ ენაზე ხორციელდება.

მუხლი 6.

სატელეგრაფო კავშირით მომსახურების განხორციელებისას გამოიყენება — თბილისის დრო.

საერთაშორისო სატელეგრაფო კავშირში სააღრიცხვო-სანგარიშწორებო დრო განისაზღვრება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

მუხლი 7.

1. მეურნე სუბიექტები ვალდებულნი არიან უმრუნველყონ მომხმარებელთა კულტურული მომსახურება, სატელეგრაფო შეტყობინებათა საიდუმლოებების დაცვა.

2. მეურნე სუბიექტები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით დაუშვებენ სატელეგრაფო შეტყობინებათა საიდუმლოების გაცემას, პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 8.

სატელეგრაფო კავშირით მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ინფორმაციას მომსახურების შესახებ და მოლაპარაკების პირობებს.

მუხლი 9.

მხარეთა დამოკიდებულება ფორმდება ქვითრით, საკონტროლო-საკასო მანქანის ჩეკით ან წერილობითი ფორმის ხელშეკრულებით.

მუხლი 10.

მეურნე სუბიექტები ვალდებულნი არიან მომხმარებლებს უსასყიდლოდ მიაწოდონ აუცილებელი და მართებული ინფორმაცია საწარმოს მუშაობის რეჟიმზე, შეთავაზებულ მომსახურებათა სახეობებზე, დეპეშათა დამუშავების ვადებზე, სატელეგრაფო კავშირის მომსახურების გაწევის წესებზე და მომსახურების გარიფებზე.

მუხლი 11.

მეურნე სუბიექტების მუშაობის რეჟიმი, რომლებიც მიეკუთვნებიან სახელმწიფო საკუთრებას, დგინდება საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს მიერ, ხოლო სხვა საკუთრების ფორმის შემთხვევაში, მესაკუთრის გადაწყვეტილებით.

მუხლი 12.

სატელეგრაფო კავშირით მომსახურების ერთიან სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს ამუშავებს და ამტკიცებს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო, მათი დაცვა სავალდებულოა ყველა მეურნე სუბიექტის მიერ.

თავი II
სატელეგრაფო კავშირით მომსახურების ფორმები და სახეობები

მუხლი 13.

სატელეგრაფო კავშირით მომსახურების სახეებია:

ა) დეპეშების მიღება, გადაცემა, დაგარება;

ბ) სააბონენტო ტელეგრაფირება;

გ) ტელექსი;

დ) სატელეგრაფო არხების იჯარით გაცემა;

ე) საგაზეთო გვერდების გადაცემა.

მუხლი 14.

სატელეგრაფო კავშირით მომსახურების სახეობები განისაზღვრება მეურნე სუბიექტების მიერ, სატელეგრაფო კავშირით მომსახურების გაწევაზე მისთვის გაცემული ლიცენზიის და მომხმარებელთა მოთხოვნილებების შესაბამისად.

მუხლი 15.

პრიორიტეტებისა და დამუშავების ვადების გათვალისწინებით დეპეშები იყოფა კატეგორიებად და სახეობებად.

მუხლი 16.

დეპეშები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ა) „კატეგორიის გარეშე“ (აღნიშვნებით „ჰაერი“, „რაკეტა“, „სამობილიზაციო“, „თვითმფრინავი“, „შლამი“);

ბ) „რიგგარეშე“ (აღნიშვნებით „ავარია“, „გრიგალი“, „ავია“);

გ) „საქართველოს პრეზიდენტი“;

დ) „უმაღლესი სამთავრობო“;

ე) „სამთავრობო“;

ვ) „სასწრაფო“;

ზ) „ჩვეულებრივი“.

მუხლი 17.

1. აბსოლუტური პრიორიტეტი ეძლევათ დეპეშებს შეტყობინებით, რომლებიც შეეხებიან ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოებას ზღვაზე, ხმელეთზე, ჰაერში და კოსმოსურ სივრცეში, აგრეთვე თავდაცვით და სამართალდამცავ ღონისძიებებს, დიდ ავარიებს, კატასტროფებს, ეპიდემიებს.

2. წინამდებარე წესების დანართში ჩამოთვლილი თანამდებობის პირების მიერ ხელმოწერილი დეპეშები კატეგორიით „საქართველოს პრეზიდენტი“, „უმაღლესი სამთავრობო“ და „სამთავრობო“ გადაიცემა პრიორიტეტული თანმიმდევრობით.

მუხლი 18.

1. დეპეშები, შეიძლება დაწერილი იყოს ღია (ყველასათვის გასაგები) ან პირობით (კოდირებულ) ენაზე.

2. დეპეშა ითვლება ყველასათვის გასაგებ ენაზე დაწერილად თუ ტექსტი დაწერილია ქართულ ენაზე, იგი შეიძლება, აგრეთვე შეიცავდეს ციფრებით და ასოებით გამოსახულ საწარმო ან სავაჭრო ნიშნებს და მარკებს, სტაგისტიკურ მონაცემებს, რომლებიც მხოლოდ ციფრებისგან შედგება.

3. დეპეშა ითვლება პირობით (კოდირებულ) ენაზე დაწერილად, თუ ჩანაწერი შესრულებულია პირობითი აღნიშვნებით ან სიტყვებით, რომლებსაც პირობითი მნიშვნელობა აქვთ. ყოველი თავისუფლად შედგენილი სიტყვა ან ციფრების ჯგუფი უნდა შეიცავდეს არა უმეტეს 5 ნიშანს.

4. საქართველოს პიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სტრუქტურული ქვეგანაყოფების დეპეშებში დასაშვებია გამოყენებული იქნეს კოდირებული სიტყვები და რიცხვთა ჯგუფები, რომლებიც შეიცავენ არა უმეტეს 10 ნიშანს.

მუხლი 19.

დეპეშები შეიძლება დაიწეროს ქართული, ლათინური ან რუსული შრიფგით. საქართველოს ფარგლებში დამისამართებული დეპეშა იწერება ქართული შრიფგით, დსთ-ს ქვეყნებში დამისამართებული რუსული ან ლათინური შრიფგით, ხოლო შორეულ საზღვარგარეთის ქვეყნებში დამისამართებული კი — ლათინური შრიფგით.

მუხლი 20.

გადასაცემად არ მიიღება დეპეშები, რომლებიც შეიცავენ არაეთიკურ, სალანძღვა და ადამიანის პაგივისა და ღირსების შემლახავ სიტყვებს, აგრეთვე ტექსტებს, რომლებიც მიმართულია საქართველოს უსაფრთხოების და სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ.

მუხლი 21.

დეპეშები იყოფა შემდეგ სახეობებად:

ა) „შეტყობინებით ჩაბარების შესახებ“ (მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე);

ბ) „შეკვეთილი მიგანა ფოსტით“;

გ) გამგზავნის მიერ მითითებულ ვადებში ჩაბარებით;

დ) „დამოწმებული“;

ე) „გადახდილი პასუხით“ (მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე);

ვ) „სქემური დეპეშა“ (მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე);

ზ) „კრიპტოგრამა“;

თ) დეპეშა „წერილი“.

მუხლი 22.

„შეკვეთილი მიგანა ფოსტით“ სახეობის დეპეშებს მეურნე სუბიექტი ღებულობს მომხმარებლისაგან, როდესაც მომხმარებელი დეპეშას აგზავნის არაგელეფონიზირებულ სოფელში.

მუხლი 23.

„გამგზავნის მიერ მითითებულ ვადებში ჩაბარებით“ სახეობის დეპეშებს მეურნე სუბიექტი ღებულობს მომხმარებლისაგან, როდესაც მომხმარებელი დეპეშის ჩაბარების ვადამდე 2 დღით ადრე აგზავნის მას საქართველოს ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

მუხლი 24.

მეურნე სუბიექტს შეუძლია დაამოწმოს და გადასცეს „დამოწმებული“ სახის დეპეშა, თუ მომხმარებელი წარუდგენს დეპეშაში მოყვანილი ფაქტის დამადასტურებელ ოფიციალურ დოკუმენტს ან მინდობილობას (აღნიმნული დოკუმენტების დედნებს მეურნე სუბიექტი გადაცემულ დეპეშასთან ერთად 2 წლის განმავლობაში ინახავს).

მუხლი 25.

მომხმარებელს უფლება აქვს ისარგებლოს სატელეგრაფო კავშირებით შემდეგი დამატებითი მომსახურებებით:

— დეპეშის გადაცემამდე გააუქმოს ან შეცვალოს იგი;

— დეპეშის გაგზავნიდან 3 დღის განმავლობაში მიიღოს მისი დამოწმებული ასლი;

— დეპეშის გაგზავნიდან 3 დღის განმავლობაში მიიღოს დეპეშის აღრესაგისთვის ჩაბარების ინფორმაცია;

— აღრესაგისთვის აღრე ჩაბარებული დეპეშის განმეორებითი გადაცემა („დამოწმებული“, „გადახდილი პასუხის“, „შეტყობინება-ჩაბარების შესახებ“ სახეობების დეპეშების გარდა);

— „მოკითხვამდე“ დეპეშების მეურნე სუბიექტის მიერ სახლში მიგანა.

მუხლი 26.

მეურნე სუბიექტები ვალდებულნი არიან საგელეგრაფო კავშირით მომსახურება გასწიონ წინამდებარე წესებით დადგენილ ვადებში.

მუხლი 27.

1. „ჩვეულებრივი“, „სასწრაფო“ და „დეპეშა-წერილი“ კატეგორიის დეპეშების გამგზავნიდან აღრესაგამდე განვლადობის ვადები შემდეგია:

ა) ქალაქებს შორის და ქალაქებში (აღგილობრივი) სასწრაფო კატეგორიის დეპეშებისათვის — 6 საათამდე

ჩვეულებრივი კატეგორიის დეპეშებისათვის — 12 საათამდე

შეტყობინება დეპეშის ჩაბარების შესახებ — 24 საათამდე

წერილი-დეპეშა კატეგორიის დეპეშებისათვის — 48 საათამდე;

ბ) რაიონულ ცენტრებს შორის, რაიონულ ცენტრებს და ქალაქებს შორის:

სასწრაფო კატეგორიის დეპეშებისათვის — 7 საათამდე

ჩვეულებრივი კატეგორიის დეპეშებისათვის — 14 საათამდე

შეტყობინება დეპეშის ჩაბარების შესახებ — 48 საათამდე

წერილი-დეპეშა კატეგორიის დეპეშებისათვის — 48 საათამდე;

გ) ქალაქებს, რაიონებს და სოფლებს შორის ჩვეულებრივი კატეგორიის დეპეშებისათვის — 24 საათამდე

შეტყობინება დეპეშების ჩაბარების შესახებ — 72 საათამდე

წერილი-დეპეშა კატეგორიის დეპეშებისათვის — 24 საათამდე.

2. არაგელეფონიზირებულ სოფლებში აღრესაგებს დეპეშები ჩაბარდებათ რაიცენტრებსა და სოფლებს შორის მოქმედი საფოსტო გადაზიდვების გრაფიკით, რამედაც მეურნე სუბიექტის მიერ მომხმარებელი წინასწარ უნდა გაფრთხილდეს.

3. დეპეშის ან მისი ჩაბარების შეტყობინების განვლადობის დროში არ შედის დრო, რომლის განმავლობაში მეურნე სუბიექტის მუშაობის რეჟიმით დეპეშების და შეტყობინებათა დაგარება არ ხდება, ღამის დრო და დრო რომლის განმავლობაშიც მომხმარებლის განცხადების საფუძველზე მას დეპეშათა მიგანა უწყდება.

4. იმ შემთხვევაში, თუ მეურნე სუბიექტი ვერ ახერხებს „სასწრაფო“ კატეგორიის დეპეშის აღრესაგისთვის იმავე ღლის 7 საათიდან 21 საათამდე ჩაბარებას, იგი მოვალეა გააფრთხილოს მომხმარებელი და დეპეშა მიიღოს „ჩვეულებრივი“ კატეგორიით.

მუხლი 28.

სააბონენტო ტელეგრაფით და ტელექსით მომხმარებლის მომსახურება წარმოებს მეურნე სუბიექტისა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 29.

საგელეგრაფო არხები იჯარაში გაიცემა მეურნე სუბიექტსა და მომხმარებელს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. საგელეგრაფო არხების იჯარაში აღებისას პრიორიტეტით სარგებლობენ სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

მუხლი 30.

გამეთების დეცენტრალიზებული ბეჭდვის პუნქტებში, გამეთების გვერდების კავშირგაბმულობის არხებით გადაცემა ხორციელდება მეურნე სუბიექტს და გამეთების რეჟიმებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 31.

1. მომხმარებელი ვალდებულია ინფორმაციის (შეტყობინების) გადასაცემად გამოიყენოს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს მიერ სერტიფიცირებული სააბონენტო აპარატი (ტერმინალი).

2. მომმხარებლის მიერ საგელეგრაფო ქსელში არასერტიფიცირებული სააბონენტო აპარატის (ტერმინალის) გამოყენების შემთხვევაში მეურნე სუბიექტს უფლება აქვს მასთან დადებული ხელშეკრულება გაუქმოს.

მუხლი 32.

მეურნე სუბიექტი, რომელსაც საგელეგრაფო კავშირით მომსახურების ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა უკავია, ვალდებულია მომხმარებელი ურუნველყოს საგელეგრაფო კავშირით მომსახურებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა [illegible] სუბიექტი დაამგკიცებს, რომ მომხმარებლის მოთხოვნის შესრულება აღემაგება მის საწარმოო შესაძლებლობებს ან [illegible]ლდება ლიცენზიით დაშვებული საქმიანობის საზღვრებს.

თავი III
საგელეგრაფო კავშირებით მომსახურების ტარიფები. ანგარიშსწორების წესები

მუხლი 33.

სახელმწიფო და შერეული საკუთრების ფორმის საგელეგრაფო კავშირებით მომსახურების გარიფებს არეგულირებს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით და ახორციელებს მათი დაცვის კონტროლს.

კერძო საკუთრების საგელეგრაფო კავშირებით მომსახურების გარიფებს ადგენს მისი მესაკუთრე.

საგელეგრაფო კავშირებით მომსახურებაზე დაწესებული შეღავათების კომპენსირება ხორციელდება შეღავათების დამწესებელი იურიდიული პირების ან ორგანოების მიერ.

მუხლი 34.

საგელეგრაფო კავშირებით მომსახურების გადახდის წესი, პირობები და ვადები დგინდება მეურნე სუბიექტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ იგი [illegible] დღეზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მუხლი 35.

მომხმარებელსა და მეურნე სუბიექტს შორის ყველა [illegible]ხის ანგარიშსწორება ხდება საქართველოს ეროვნული ვალუტით — ლარით. ანგარიშსწორება უცხოური ვალუტით [illegible] საძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი IV
პრეტენზიების განხილვის წესი

მუხლი 36.

გაწეულ მომსახურებაზე მეურნე სუბიექტისათვის პრეტენზიების წარდგენა შესაძლებელია საგელეგრაფო კავშირით მომსახურების მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში.

პრეტენზიები, რომელიც წარდგენილი იქნება ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ, მეურნე სუბიექტის მიერ არ განიხილება.

მუხლი 37.

1. მომხმარებლის მიერ პრეტენზია შეიძლება წარდგენილი იყოს ნებისმიერი ფორმით. საპრეტენზიო საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, იგი წარდგენილი უნდა იქნეს წერილობით, განმცხადებლის ხელმოწერითა და იმ მისამართის მითითებით, რომელზეც შეიძლება მიღებულ იქნეს პასუხი.

2. მომხმარებელმა მეურნე სუბიექტს შესაძლებელია პრეტენზია წარუდგინოს როგორც დეპეშის გაგზავნის, ასევე მიღების ადგილზე.

მუხლი 38.

მეურნე სუბიექტს უფლება აქვს მომხმარებელს წარუდგინოს პრეტენზია იმ შემთხვევაში, თუ იგი არღვევს საგელეგრაფო კავშირით მომსახურების წესებს, რითაც სამეურნეო სუბიექტს ურთულებს საქმიანობას ან დადგენილი წესები არ იხდის მომხმარებელი მომსახურების ღირებულებას.

მუხლი 39.

მეურნე სუბიექტისა და მომხმარებლის მიერ ერთმანეთისათვის წაყენებული პრეტენზიები შეძლებისდაგვარად უნდა მოგვარდეს ნებაყოფლობით, ორივე მხარის მოლაპარაკებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მოდავე მხარეებს შეუძლიათ მიმართონ ზემდგომ ორგანოს ან სასამართლოს.

მუხლი 40.

წერილობით წარმოდგენილი პრეტენზიის განხილვას მეურნე სუბიექტი აწარმოებს პრეტენზიის მიღებიდან ერთი თვის განმავლობაში. პრეტენზიის განხილვის შედეგები მომხმარებელს წერილობით ეცნობება. პრეტენზიის განხილვასთან დაკავშირებული მიმოწერა უნდა ინახებოდეს 5 წლის განმავლობაში.

თავი V
მეურნე სუბიექტების და მომხმარებლების პასუხისმგებლობა

მუხლი 41.

ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, მეურნე სუბიექტის პასუხისმგებლობა მომხმარებლის წინაშე განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 42.

მეურნე სუბიექტი პასუხისმგებელია მომხმარებლისათვის გაცხადებული მომსახურების ხარისხზე, ვადებზე და მომხმარებლის საჩივრის შედეგად გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრაზე, აგრეთვე მომსახურების შესახებ გაცემული ინფორმაციის სისწორეზე.

მუხლი 43.

მეურნე სუბიექტის მიერ მომსახურების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მომხმარებელს თავისი არჩევანით შეუძლია:

ა) დანიშნოს მომსახურების შესრულების ახალი ვადები;

ბ) გააუქმოს ხელშეკრულება.

მომსახურების ვადების დარღვევას თან უნდა მოჰყვეს მომხმარებლისათვის პირგასამტეხლოს გადახდა მომსახურების ღირებულების ერთი პროცენტის ოდენობით.

მხარეთა მოლაპარაკების (ხელშეკრულების) თანახმად აღნიმნული პირგასამტეხლო მომხმარებლის არჩევით შეიძლება გადახდილი იყოს:

— მომსახურების ღირებულების შემცირებით;

— მომხმარებლისათვის დამატებითი მომსახურების უსასყიდლოდ გაწევით.

შემოსული პრეტენზიების დაკმაყოფილება ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო

ბრძანება № 01/138/86

თბილისი, 1997 წლის 28 ნოემბერი

საქართველოს კანონის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის № 596 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს

„სატელეგრაფო კავშირით მომსახურების გაწევის წესები“

შუალებებით უხარისხო მომსახურებისათვის და მომსახურებაში არსებული ხარვეზების მოლაპარაკებულ ვადებში აღმოფხვრისათვის.

2. მომხმარებელი, რომელსაც კავშირგაბმულობის საშუალებით მომსახურება გაეწია ხარვეზებით, რომელთა შესახებ იგი მეურნე სუბიექტის მიერ წინასწარ არ იყო გაფრთხილებული, უფლებამოსილია თავისი არჩევანით მოითხოვოს:

ა) ნორმალური ხარისხით მომსახურების ხელახალი გაწევა;

ბ) ხელშეკრულების გაუქმება.

უხარისხო მომსახურებისა და ხარვეზების აღმოფხვრის ვადების დარღვევას თან უნდა მოჰყვეს მომხმარებლისათვის პირგასამტეხლოს გადახდა მომსახურების ღირებულების ერთი პროცენტის ოდენობით.

მხარეთა მოლაპარაკების თანახმად აღნიშნული პირგასამტეხლო მომხმარებლის არჩევით შეიძლება გადახდილი იყოს:

– მომსახურების ღირებულების შემცირებით;

– მომხმარებლისთვის დამატებითი მომსახურების უსასყიდლოდ გაწევით.

შემოსული პრეტენზიების დაკმაყოფილება ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

მუხლი 45.

მეურნე სუბიექტს მომხმარებლის წინაშე მატერიალური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დროული ან ხარისხიანი მომსახურება შეუძლებელი გახდა მომხმარებლის მიზეზით ან წარმოქმნილი დაუძლეველი წინააღმდეგობების გამო.

დასასრული. დასაწყისი იხ. მე-4 გვ.

მუხლი 46.

დაუძლეველი წინააღმდეგობის გამო მეურნე სუბიექტის მიერ მომხმარებლის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა მომხმარებელს უფლებას აძლევს მეურნე სუბიექტთან შეთანხმებით დანიშნოს მომსახურების შესრულების ახალი ვადა.

მუხლი 47.

მომხმარებელი პასუხს აგებს მეურნე სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების დროულად გადახდაზე. თუ მომხმარებლის მიერ დეპეშა გადაცემული იქნა ტელეფონით და მან გაწეული მომსახურების ღირებულება არ გადაიხადა მეურნე სუბიექტის მიერ დადგენილ ვადებში, მეურნე სუბიექტს უფლება აქვს მომხმარებელს, გაფრთხილების შემდეგ, გაუთიშოს ტელეფონი და გათიშვიდან ერთი თვის განმავლობაში მომხმარებლის მიერ მომსახურების და გათიშული ტელეფონის ჩართვის ღირებულების გადახდის შემთხვევაში მოუხსნას ტელეფონი, ხოლო მასზე რიცხული დავალიანება ამოიღოს დადგენილი წესით.

მუხლი 48.

მეურნე სუბიექტს შეუძლია უარი უთხრას მომხმარებელს საგელეგრაფო კავშირით მომსახურებაზე, თუ:

ა) მომხმარებლის მოთხოვნის შესრულება აღემატება მეურნე სუბიექტის საწარმოო შესაძლებლობას ან ლიცენზიაში აღნიშნულ პირობებს;

ბ) მომხმარებელი არღვევს წინამდებარე წესებს.

საქართველოს კავშირგაბმულობისა
და ფოსტის მინისტრი
ფრ. ინჯია.

მუხლი 49.

წინამდებარე წესების სისტემაგური უხეში დარღვევისათვის მეურნე სუბიექტს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება ჩამოერთვას საგელეგრაფო კავშირით მომსახურების უფლება (ლიცენზია).

თავი VI
კონტროლი

მუხლი 50.

წინამდებარე წესების დაცვაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 51.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ანგიმონოპოლიური სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

თავი VII
წესების ამოქმედების ვადები

მუხლი 52.

წინამდებარე წესები ამოქმედდეს 1998 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს
ეკონომიკის მინისტრი
ვ. პაპავა.

„სატელეგრაფო კავშირით მომსახურების გაწევის წესების“ დანართი

თანამდებობის პირთა ჩამონათვალი, რომელთა ხელმოწერით გადაიცემა „საქართველოს პრეზიდენტის დეპეშა“, „უმაღლესი სამთავრობო დეპეშა“ და „სამთავრობო დეპეშა“, კატეგორიის დეპეშები:

1. დეპეშები კატეგორიით „საქართველოს პრეზიდენტის დეპეშა“:
– საქართველოს პრეზიდენტი

2. დეპეშები კატეგორიით „უმაღლესი სამთავრობო დეპეშა“:
– საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;
– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე;
– საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;
– საქართველოს სახელმწიფო მინისტრი;
– საქართველოს მინისტრები;
– საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;
– საქართველოს გენერალური პროკურორი;
– აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები;

3. დეპეშები კატეგორიით „სამთავრობო დეპეშა“:
– საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეები;
– საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილეები;
– სახელმწიფო კანცელარიის უფროსი და მისი მოადგილეები;
– საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეები;
– საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულები და მათი მოადგილეები;
– სახელმწიფო კანცელარიის განყოფილებათა გამგეები;
– საქართველოს პარლამენტის კომიტეტების და კომისიების თავმჯდომარეები;
– საქართველოს პარლამენტის დეპუტატები;
– საქართველოს პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელი და მისი მოადგილეები;
– საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები;
– საქართველოს მინისტრების მოადგილეები;
– აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეების მოადგილეები;
– საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები;
– საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები;
– საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეები;
– საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და მისი მოადგილეები;
– სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო – „საქინფორმის“ გენერალური დირექტორი და მისი მოადგილეები; – კორპორაცია „საქტელერადიოს“ თავმჯდომარე და მისი მოადგილეები;
– საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტების და კომიტეტის თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები;
– ქალაქების მერები;
– ადგილობრივი მმართველობის რაიონული ორგანოების თავმჯდომარეები;
– საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების სახეობათა სარდლები.

შენიშვნა: ყველა უფლება დაცულია. საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ერთობლივი წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია წინამდებარე დოკუმენტის ნებისმიერი ნაწილის გადაბეჭდვა ან გამოცემა ნებისმიერი ფორმით.

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1.

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით მომსახურების გაწევის წესები (შემდგომში – წესები) შემუშავებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განსაზღვრავენ საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით მომსახურების წესებს და პირობებს, რომლებიც სავალდებულოა ფიზიკური პირებისათვის და ნებისმიერი საკუთრების ფორმის და უწყებრივი დაქვემდებარების მეურნე სუბიექტებისათვის.

მუხლი 2.

წინამდებარე წესები არ ვრცელდება სპეციალური დანიშნულების საგელეფონო კავშირის გამოყენილ ქსელებზე, მათ შორის – სამთავრობო კავშირგაბმულობის, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების, აგრეთვე შიდასაწარმოო და ტექნოლოგიური დანიშნულების საგელეფონო კავშირის გამოყენილ ქსელებზე, რომლებსაც გასასვლელი არა აქვთ საერთო სარგებლობის საგელეფონო ქსელებზე.

მუხლი 3.

წინამდებარე წესებში გამოიყენება შემდეგი ტერმინები და განსაზღვრებები:

„მომხმარებელი“ – იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომლებიც იყენებენ ან გააჩნიათ განმრახვა გამოიყენონ საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირის მომსახურება.

„მეურნე სუბიექტი“ – იურიდიული ან ფიზიკური პირები, რომლებიც ეწევიან საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით მომსახურებას მათი წესდების და სპეციალური ნებართვის (ლიცენზიის) საფუძველზე, წინამდებარე წესების დაცვით და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

„სერგიფიკატი“ – დოკუმენტი, რომელსაც გასცემს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო სერგიფიკაციის წესების შესაბამისად და რომელიც შეიცავს დასკვნას, რომ იდენტიფიცირებული პროდუქცია, მომსახურება ან პროცესი შეესაბამება მოქმედ სტანდარტს ან სხვა ნორმატიულ დოკუმენტს.

მუხლი 4.

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით მომხმარებლების მომსახურებას ეწევა მხოლოდ ის მეურნე სუბიექტი, რომელსაც საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროსგან მიღებული აქვს მომხმარებლის მომსახურების სპეციალური ნებართვა (ლიცენზია).

მუხლი 5.

იურიდიულ და ფიზიკურ პირებს საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირი მიეცემათ მომსახურების თანაბარი პირობებით, იმ უპირატესობების გათვალისწინებით, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 6.

I. საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით მომსახურების აბსოლუტური უპირატესობით სარგებლობენ შეტყობინებები ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოების შესახებ ზღვაზე, ხმელეთზე, პაერში, კოსმოსურ სივრცეში, თავდაცვითი და სამართალდაცვითი ხასიათის ღონისძიებები, აგრეთვე შეტყობინებები დიდ ავარიებზე, კატასტროფებზე, ეპიზოოტიებზე და სტიქიურ უბედურებებზე.

2. მომსახურებაზე პრიორიტეტები მიეცემათ:

საქართველოს და მის შემადგენლობაში შემავალი აჭარის და აფხაზეთის სახელმწიფო ხელისუფლების და რეგიონების მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებს;

უცხოეთის ქვეყნების დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლებს;

საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს;

მოქალაქეთა ზოგიერთ კატეგორიას, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირით მომსახურება პირველ რიგში გაეწევათ სამთავრობო, კავშირგაბმულობის, თავდაცვის, უშიშროების და სამართალდამცავ ორგანოებს.

მუხლი 7.

საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლების საქალაქთაშორისო საგელეფონო კავშირით მომსახურება საქართველოს სახელმწიფო – ქართულ ენაზე ხორციელდება.

საერთაშორისო საგელეფონო კავშირზე მეურნე სუბიექტებს შორის სამსახურებრივი ურთიერთობანი ხორციელდება იმ ენაზე, რომელსაც საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს.

საქართველოს მეურნე სუბიექტებს შორის სამსახურებრივი ურთიერთობანი და სასამსახურო საქმის წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე.

მუხლი 8.

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირის გამოყენების დროს მომხმარებლებს შორის საუბარი (ინფორმაციის გადაცემა) შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ ენაზე.

მუხლი 9.

საქალაქთაშორისო საგელეფონო კავშირის ტექნოლოგიურ პროცესებში გამოიყენება თბილისის დრო.

საერთაშორისო საგელეფონო კავშირში სააღრიცხვო-საანგარიშსწორებო დრო განისაზღვრება საერთაშორისო ხელშეკრულებებით.

მომხმარებლების ინფორმირება საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით მომსახურების გაწევის შესახებ ხდება თბილისის დროით.

მუხლი 10.

მეურნე სუბიექტები ვალდებულნი არიან მკაცრად დაიცვან საგელეფონო საუბრებისა და შეტყობინებების, აგრეთვე, მათთან დაკავშირებული ყველა ცნობის საიდუმლოება.

საგელეფონო საუბრების მოსმენა, მათ შესახებ ცნობების გაცემა დასაშვებია მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

მუხლი 11.

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით მომსახურება მისი ხარისხით უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ სტანდარტებს, ტექნიკურ ნორმებს, ხელშეკრულების პირობებს და აგრეთვე მეურნე სუბიექტის ინფორმაციას მომსახურების შესახებ.

მუხლი 12.

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით მომსახურების ერთიან სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს ამუშავებს და ამტკიცებს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო, მათი დაცვა სავალდებულოა საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით მომხმარებლების მომსახურების გამწევი მეურნე სუბიექტებისათვის.

თავი II
საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით მომსახურების ფორმები და სახეობანი

მუხლი 13.

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით მომსახურების ფორმას და სახეობას განსაზღვრავს თვით მეურნე სუბიექტი მისთვის გაცემული ლიცენზიის და მომხმარებლის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 14.

მეურნე სუბიექტი, რომელიც ეწევა საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით მომსახურებას, ვალდებულია მომხმარებლებს უსასყიდლოდ მიაწოდოს ინფორმაცია მომსახურებათა ფორმებსა და სახეობებზე, მომსახურების წესებისა და ტარიფების შესახებ.

მუხლი 15.

მომხმარებელი უფლებამოსილია, მოქმედი სტანდარტების დაცვით, ინფორმაციის ნებისმიერი ფორმით გადასაცემად გამოიყენოს მიღებული საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირის შეერთება ან არხი. აგრეთვე, ნებისმიერი გიჰის სააბონენტო აპარატი (ტერმინალი), რომელიც სერტიფიცირებული იქნება საქართველოს კავშირგაბმულობის ქსელებზე გამოსაყენებლად.

მუხლი 16.

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირის დაზიანების ან გადაგვირთვის შემთხვევაში მეურნე სუბიექტს შეუძლია მოაწესრიგოს მომსახურების წესი, შემოიღოს შეზღუდვები საგელეფონო საუბრების შეკვეთებზე, ხოლო მიღებულ შეკვეთებზე დააწესოს ლაპარაკის ხანგრძლივობა.

შეზღუდვების შემოღების სისწორის დასაბუთება ევალება მეურნე სუბიექტს.

შეზღუდვის შემოღების შესახებ მომხმარებელი ინფორმირებული უნდა იყოს შეკვეთის მიღების ან საგელეფონო ლაპარაკის შეთავაზების დროს.

მუხლი 17.

1. მეურნე სუბიექტი, რომელსაც საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით მომსახურების ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა უკავია, ვალდებულია უმრუნველყოს მომხმარებელი საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მეურნე სუბიექტი დაამტკიცებს, რომ მომხმარებლის მოთხოვნის შესრულება აღემატება მის საწარმო მესაძლებლობებს ან სცილდება ლიცენზიით დაშვებული საქმიანობის საზღვრებს.

2. ტიპიურ მომსახურებას მიეკუთვნებიან:

ა) საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო ლაპარაკი ავტომატური კავშირის გამოყენებით;

ბ) საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო ლაპარაკი ოპერატორის (მეელსმენის) დახმარებით;

გ) საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კონფერენც-კავშირი;

დ) მომხმარებლების საგელეფონო კავშირით კომპლექსური უზრუნველყოფა სოციალურ-პოლიტიკური, კულტურულ-სანახაობრივი და სპორტული ღონისძიებების ჩაგარების დროს;

ე) დამატებითი მომსახურების კომპლექსი, რომელიც მომხმარებელს გაეწევა ოპერატორის (მეელსმენის) მიერ მისი წინასწარი შეკვეთით.

თავი III
საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით სარგებლობის თავისებურებანი

მუხლი 18.

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირის ქსელებისათვის დადგენილია შემდეგი კატეგორიის საგელეფონო ლაპარაკები:

ა) ლაპარაკები უბედურების შესახებ, რომლებსაც მიეკუთვნებიან ლაპარაკები ადამიანის სიცოცხლის უსაფრთხოების შესახებ ზღვაზე, ხმელეთზე, პაერში და კოსმოსურ სივრცეში, აგრეთვე ლაპარაკები, რომლებიც გამოწვეულია მაშველი სამსახურების მონაწილეობის აუცილებლობით მძიმე უბედური შემთხვევების, მიწისძვრის, ქარიშხლის, გრიგალის, ხანძრის, წყალდიდობის და სხვათა შედეგების სალიკვიდაციოდ.

უბედურების შესახებ ლაპარაკებს უთანაბრდება განსაკუთრებული სასწრაფო საგელეფონო საუბრები, რომელსაც აწარმოებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და დაკავშირებულია ეპიდემიებთან.

ბ) სახელმწიფოებრივი ხასიათის საგელეფონო ლაპარაკები, რომლებსაც მიეკუთვნება შემდეგი თანამდებობის პირთა ლაპარაკები:

– საქართველოს პრეზიდენტი;

– საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები;

– საქართველოს პარლამენტის კომიტეტების და კომისიების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები;

– საქართველოს პარლამენტის დეპუტატები;

– საქართველოს სახელმწიფო მინისტრი და მისი მოადგილეები;

– საქართველოს მინისტრები და მათი მოადგილეები;

– საქართველოს სახელმწიფო დეპარტამენტების და კომიტეტების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები;

– აჭარის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები;

– საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის უფროსი და მისი მოადგილეები;

– საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეები;

– საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულები და მათი მოადგილეები;

– საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის განყოფილებათა უფროსები და მათი მოადგილეები;

– საქართველოს პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელი და მისი მოადგილეები;

– საქართველოს საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები;

– საქართველოს გენერალური პროკურორი და მისი მოადგილეები;

– საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები;

– საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები;

– ქალაქების მერები და მათი მოადგილეები;

– ადგილობრივი მმართველობის რაიონული ორგანოების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები;

– სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო – „საქინფორმის“ გენერალური დირექტორი და მისი მოადგილეები;

– კორპორაცია „საქტელერადიოს“ თავმჯდომარე და მისი მოადგილეები;

– საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარების სახეობათა სარდლები;

– დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობათა მეთაურები და პირები, რომლებიც მათ ცვლიან;

– იმ ტერიტორიების მეთაურები, რომლებიც იმყოფებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობის ან მანდატის ქვეშ.

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო ლაპარაკები სახელმწიფო კატეგორიებით წარმოებს წინასწარ განსაზღვრული გელეფონების ნომრებიდან.

გ) სასამსახურო ლაპარაკები, რომლებიც ეხება საგელეფონო კავშირების ფუნქციონირებას ან საგელეფონო არხების გამოყენებით ელექტროკავშირგაბმულობის სხვა კავშირების ორგანიზაციას და მუშაობას.

დ) ლაპარაკები პაროლით.

ე) კერძო ხასიათის ლაპარაკები, რომლებსაც მიეკუთვნება ყველა სახის საგელეფონო ლაპარაკი გარდა წინამდებარე პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი ლაპარაკებისა.

მუხლი 19.

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო საუბრებს მომხმარებლები იღებენ შემდეგი რიგის მიხედვით:

ა) ლაპარაკები უბედურების შესახებ.

ბ) სასამსახურო ლაპარაკები მთლიანად შეწყვეტილი საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირის აღდგენის შესახებ.

გ) სახელმწიფო ხასიათის ლაპარაკები.

დ) სასამსახურო ლაპარაკები კავშირების ორგანიზაციასა და ტექნიკური მომსახურების შესახებ.

ე) კერძო ხასიათის ლაპარაკები.

მუხლი 20.

საერთაშორისო საგელეფონო კავშირით აბონენტებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი სახის მომსახურება:

ა) ლაპარაკი ერთი აპარატიდან მეორეზე – ლაპარაკი გამომძახებელ აბონენტსა და ნებისმიერ მოპასუხე აბონენტს შორის.

ბ) პერსონალური ლაპარაკი – ლაპარაკი გამომძახებელ აბონენტსა და განსაზღვრულ გამოძახებულ აბონენტს შორის – გამოძახებული პირი შეიძლება მითითებული იყოს გვარით, თანამდებობით, დამატებითი ტელეფონის ნომრით, მისამართით (შეკვეთა-შეტყობინებით), ამა თუ იმ ენის ცოდნით და სხვა ნიშნებით. თითოეულ დამატებით მომსახურებაზე აბონენტი იხდის 1 წუთიანი ლაპარაკის ღირებულებას, ხოლო თუ შეკვეთის შესრულების დროს დასახელებულია დამატებითი ტელეფონის ნომერი და გვარი, გადასახადი მომსახურებისათვის იანგარიშება, მასზე ფაქტობრივად დახარჯული დროის მიხედვით.

გ) ლაპარაკი გამოძახებული პირის ანგარიშზე – ასეთი ლაპარაკები დაიშვება მხოლოდ იმ ქვეყნების აბონენტებთან, რომელთა შესაბამის საერთაშორისო საოპერატორო საგელეფონო კომპანიებთან საქართველოს საერთაშორისო საგელეფონო კავშირის საოპერატორო ორგანიზაციას დადებული აქვს სპეციალური ხელშეკრულება. შეკვეთა გამოძახებული პირის ანგარიშზე მიიღება იმის მიუხედავად, გამოძახებული ტელეფონი ბინისაა თუ არა. ამ შემთხვევაში გაწეული მომსახურების საფასურს იხდის მხოლოდ გამოძახებული პირი.

დ) ლაპარაკი საკრედიტო ბარათის გამოყენებით – ლაპარაკი, რომლის შეკვეთის დროსაც გამომძახებელი აბონენტი ასახელებს თავისი საკრედიტო ბარათის ნომერს და საკუთარ გვარს.

უცხოეთის ქვეყნების საგელეფონო კომპანიების საკრედიტო ბარათების გამოყენება დაიშვება მხოლოდ საქართველოს საერთაშორისო საგელეფონო კავშირის საოპერატორო ორგანიზაციას და დაინტერესებული ქვეყნების შესაბამის საერთაშორისო საოპერატორო საგელეფონო კომპანიებს შორის სპეციალური ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში.

ე) ლაპარაკი ცნობით დადგენილ ტელეფონის ნომერზე – გადასახადი აღნიშნული დამატებითი მომსახურებისთვის იანგარიშება, როგორც ერთწუთიანი ლაპარაკის ღირებულება.

მუხლი 21.

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო ლაპარაკების შეკვეთის მოქმედების ვადა მთავრდება შეკვეთის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში, თუ მანამდე მომხმარებელმა შეკვეთა არ გააუქმა.

მუხლი 22.

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო ლაპარაკებისათვის დადგენილია ორი სახის ტარიფი – ჩვეულებრივი და სასწრაფო.

სასწრაფო ტარიფით ლაპარაკი ანაზღაურდება ჩვეულებრივი ტარიფის ორმაგი ოდენობით.

მუხლი 23.

ლაპარაკები უბედურების შესახებ ანაზღაურდება ჩვეულებრივი ტარიფით, ხოლო ლაპარაკი პაროლით ანაზღაურდება სასწრაფო ტარიფით.

მუხლი 24.

სამთავრობო კატეგორიის ლაპარაკების ანაზღაურება ხდება ჩვეულებრივი ან სასწრაფო ტარიფით იმის მიხედვით, თუ რომელი ტარიფით იქნა მიცემული შეკვეთა.

მუხლი 25.

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო ლაპარაკების ღირებულების გადახდა შესაძლებელია ავანსად, კრედიტით, ნაღდი ფულით.

მუხლი 26.

მომხმარებლის მიერ გადასახადი არ გადაიხდება, თუ ლაპარაკი არ შედგა კავშირგაბმულობის ორგანიზაციების მიზეზით ან თუ შეკვეთის შესრულების დროს არ იქნა გათვალისწინებული ცვლილებანი, რომელიც კავშირის შეერთებამდე მომხმარებელმა შეკვეთაში შეიტანა.

მუხლი 27.

თუ გამოძახება შედგა და პერსონალური ლაპარაკი არ შედგა მეურნე სუბიექტისაგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, მომხმარებელი გადაიხდის თანხას ლაპარაკის ერთი წუთის ღირებულების ოდენობით, ტარიფით, რომლითაც მან ლაპარაკი შეუკვეთა.

თავი IV
კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურების ტარიფები

მუხლი 28.

სახელმწიფო და შერეული საკუთრების ფორმის საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით მომსახურების ტარიფებს არეგულირებს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან შეთანხმებით და ახორციელებს მათი დაცვის კონტროლს.

კერძო საკუთრების საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით მომსახურების ტარიფებს ადგენს მისი მესაკუთრე.

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით მომსახურებაზე შეღავათების დაწესების შემთხვევაში განსხვავებული თანხის კომპენსირება ხორციელდება იმ ორგანიების ან იურიდიული პირების მიერ, ვინც შეღავათები დააწესა.

მუხლი 29.

I. მომხმარებლის მიერ ავტომატური საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირით ლაპარაკის (ინფორმაციის გადაცემის) განხორციელებისათვის გადახდას დაქვემდებარებული დრო განისაზღვრება გამოძახებული აბონენტის გელეფონის პასუხის მომენტიდან აბონენტის მიერ კავშირის შეწყვეტის მომენტამდე.

2. ავტომატური საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო კავშირით სარგებლობის ანაზღაურებადი მინიმალური ინტერვალი მრგვალდება 30 წამამდე სიზუსტით და განისაზღვრება წუთობრივად (30 წამამდე და 30 წმ ხანგრძლივობის ლაპარაკი განისაზღვრება როგორც ნახევარ წუთიანი ლაპარაკი, ხოლო 30 წამზე მეტი ხანგრძლივობისა კი – როგორც ერთ წუთიანი ლაპარაკი).

მუხლი 30.

1. იმ შემთხვევაში, როდესაც საქალაქთაშორისო და საერთაშორისო საგელეფონო ლაპარაკები ოპერატორის (მეელსმენის) დახმარებით ხორციელდება, ლაპარაკის ხანგრძლივობა განისაზღვრება იგივე წესით, როგორც ეს ამ წესების 29-ე მუხლშია მოცემული.

2. ოპერატორის (მეელსმენის) დახმარებით განხორციელებული 2 წუთზე ნაკლები ხანგრძლივობის საქალაქთაშორისო საგელეფონო ლაპარაკის დრო, რომელიც გადახდას ექვემდებარება 2 წუთამდე მრგვა-

(იხილეთ მე-6 გვ.)

საქართველოს რესპუბლიკა
№310. ხუთშაბათი. 11 დეკემბერი. 1997-ნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო

ბრძანება № 01/139/87

თბილისი, 1997 წლის 28 ნოემბერი

საქართველოს კანონის „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის № 596 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს

„საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების წესები“

(დასასრული)

ლდება, ხოლო უფრო მეტი ხანგრძლივობის ლაპარაკის საფასური იანგარიშება თითოეული წუთის ღირებულების მიხედვით.

მუხლი 31.

საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო ლაპარაკზე (ან ინფორმაციის გადაცემაზე) გამომძახებელი პირის მიერ შეერთების მომენტში შეკვეთის შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში მომხმარებელი სრული მოცულობით ანაზღაურებს იმ სამუშაოს ღირებულებას, რომელიც შეასრულა მეურნე სუბიექტმა შეკვეთის შესასრულებლად შეერთების მომენტისათვის, აგრეთვე მომხმარებელი დამატებით გადაიხდის ლაპარაკის I წუთის ღირებულებას იმ ტარიფის მიხედვით, რომლითაც შეკვეთა იყო მიღებული.

მუხლი 32.

თუ შეკვეთილი ლაპარაკი არ შედგა მეურნე სუბიექტის მიზეზით, მომხმარებელმა არ უნდა გადაიხადოს შესრულებული მომსახურების ღირებულება.

მუხლი 33.

ანგარიშის წარდგენის საფუძველს ავტომატური კავშირით სარგებლობისას წარმოადგენს ღირებულების აღმრიცხავი აპარატურის მონაცემები, რომლებიც ჩაწერილია შაგნიტურ მატარებელზე (მაგნიტური ლენტი, დისკი), ხოლო ოპერატორის (მეელსმენის) დახმარებით კავშირის განხორციელების დროს კი ოპერატორის (მეელსმენის) მიერ შევსებული შეკვეთის ბლანკი.

მუხლი 34.

დანადგარების კონსტრუქცია და მოწყობილობა, რომელსაც მეურნე სუბიექტი გაწეული მომსახურების ღირებულების დაუყოვნებლივ მიღებისთვის იყენებს, უნდა ითვალისწინებდეს მომსახურების მიღებას და მისი ღირებულების ანაზღაურებას ერთი ერთეულის სიზუსტით (ლაპარაკის წუთი, გადაცემული ციფრული ინფორმაციის კილობაიტი, ა4 ფორმატის სტანდარტული ფურცლის გრაფიკული ინფორმაცია და სხვა).

თავი V
გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშსწორება მომხმარებელთან

მუხლი 35.

მეურნე სუბიექტი, რომელიც ეწევა მომხმარებლების საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებას, აწარმოებს ანგარიშსწორებას იმ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, რომელთაც გაუწია ამ სახის მომსახურება.

მუხლი 36.

გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშსწორების ფორმა და წესი დგინდება მეურნე სუბიექტის მიერ.

მუხლი 37.

მომხმარებელსა და მეურნე სუბიექტს შორის ყველა სახის ანგარიშსწორება ხდება საქართველოს ეროვნული ვალუტით – ლარით. ანგარიშსწორება უცხოური ვალუტით შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 38.

მეურნე სუბიექტი მომხმარებლებთან – ადგილობრივი სატელეფონო ქსელის აბონენტებთან, ანგარიშსწორებას აწარმოებს იურიდიულ და ფიზიკურ პირზე მიკუთვნებული სააბონენტო ნომრის ინფორმაციის საფუძველზე.

მუხლი 39.

მომხმარებლისთვის წარდგენილი საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების გაწევის ანაზღაურების ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

– სააბონენტო სწორებო პერიოდს;

– საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო ლაპარაკის რიცხვს, მომხმარებლის თითოეულ ტელეფონზე (თუ რამდენიმეა) და მათზე დარიცხულ თანხას;

– გადასახდელ საერთო თანხას;

– ანგარიშის (მოთხოვნის) წარდგენის თარიღს;

– გადახდის ვადას.

მუხლი 40.

მომხმარებლის ან მის მიერ კანონიერად უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე მეურნე სუბიექტი ვალდებულია მას წარუდგინოს მომსახურების გაწევის ანაზღაურების ანგარიშის დაწერილებით გამიფრული ინფორმაცია ქალაქის კოდის, ლაპარაკის თარიღის, დროის ხანგრძლივობის და ღირებულების აღნიშვნით.

მუხლი 41.

მეურნე სუბიექტი ვალდებულია მომხმარებელს ან მის მიერ კანონიერად უფლებამოსილ პირს სამი დღის ვადაში წარუდგინოს მომსახურების გაწევის ანაზღაურების ანგარიშის დაწერილებით გამიფრული ინფორმაცია, თუ მოთხოვნა ამის შესახებ შემოვიდა 30 დღის განმავლობაში მისთვის ანგარიშის წარდგენის მომენტიდან.

მუხლი 42.

გაწეული მომსახურების ანაზღაურების ვადას მეურნე სუბიექტი დამოუკიდებლად ადგენს, მაგრამ იგი 10 დღეზე ნაკლები არ უნდა იყოს.

მუხლი 43.

მომხმარებელს უფლება აქვს დაიბრუნოს ავანსად შეტანილი თანხის ნაწილი, თუ სრულად ვერ გამოიყენა შეკვეთილი დრო. გალონის შეძენიდან ერთი თვის განმავლობაში ასევე შეუძლია დაიბრუნოს ნაწილობრივ გამოყენებული ტალონის ღირებულების დარჩენილი თანხა.

თავი VI
პრეტენზიების განხილვის წესი

მუხლი 44.

გაწეულ მომსახურებაზე მეურნე სუბიექტისათვის პრეტენზიების წარდგენა შესაძლებელია ერთი თვის ვადაში ლაპარაკის ან ანგარიშის წარდგენის მომენტიდან.

პრეტენზიები, რომელიც წარდგენილი იქნება ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ, მეურნე სუბიექტის მიერ არ განიხილება.

მუხლი 45.

მომხმარებლის მიერ პრეტენზია შეიძლება წარდგენილი იყოს ნებისმიერი ფორმით. საპრეტენზიო საკითხის დაუყოვნებლივ გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში იგი წაყენებული უნდა იქნას წერილობითი ფორმით, განმცხადებლის ხელმოწერითა და იმ მისამართის მითითებით, რომელზეც შეიძლება მიღებულ იქნას პასუხი.

მუხლი 46.

მეურნე სუბიექტს უფლება აქვს წარუდგინოს პრეტენზია მომხმარებელს იმ შემთხვევაში, თუ იგი არღვევს საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურების წესებს, რითაც სამეურნეო სუბიექტს ურთულებს საქმიანობას ან დადგენილი წესით არ იხდის მოხმარებული მომსახურების ღირებულებას.

მუხლი 47.

მეურნე სუბიექტისა და მომხმარებლის მიერ ერთმანეთისათვის წარდგენილი პრეტენზიები შეძლებისდაგვარად უნდა მოგვარდეს ნებაყოფლობით, ორივე მხარის შეთანხმებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეებს შეუძლიათ მიმართონ ზემდგომ ან სასამართლო ორგანოებს.

მუხლი 48.

წერილობით წარმოდგენილი პრეტენზიის განხილვას მეურნე სუბიექტი აწარმოებს პრეტენზიის მიღებიდან 1 თვის ვადაში. პრეტენზიის განხილვის შედეგები მომხმარებელს წერილობით ეცნობება. პრეტენზიის განხილვასთან დაკავშირებული მიმოწერა უნდა ინახებოდეს 5 წლის განმავლობაში.

თავი VII
მეურნე სუბიექტების და მომხმარებლების პასუხისმგებლობა

მუხლი 49.

მეურნე სუბიექტი ვალდებულია მომხმარებელს აცნობოს თავისი მოვალეობები მომსახურების შესრულების ვადისა და ხარისხის შესახებ.

მუხლი 50.

ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში მეურნე სუბიექტის პასუხისმგებლობა მომხმარებლის წინაშე განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 51.

მომსახურების შესრულების დრო და ხანგრძლივობა განისაზღვრება მეურნე სუბიექტის მიერ მომსახურების დაწყებიდან (საათი, წუთი, თარიღი) მის დასასრულამდე (საათი, წუთი, თარიღი), რომლის განმავლობაშიც მეურნე სუბიექტი ვალდებულია მომხმარებელს გაუწიოს მომსახურება.

მუხლი 52.

მომხმარებელი ვალდებულია დაიცვას წინამდებარე წესები, ხელშეკრულების პირობები, დროულად და სრულად გადაიხადოს მომსახურების საფასური.

მუხლი 53.

მეურნე სუბიექტი პასუხისმგებელია მომხმარებლის წინაშე გაცხადებულ მომსახურების ხარისხზე, ვადებსა და მომხმარებლის საჩიერის შედეგად გამოვლენილი ხარვეზის აღმოფხვრაზე, აგრეთვე მომსახურების შესახებ გაცემული ინფორმაციის სისწორეზე.

მუხლი 54.

მეურნე სუბიექტის მიერ მომსახურების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მომხმარებელს თავისი არჩევანით შეუძლია:

ა) დანიშნოს მომსახურების შესრულების ახალი ვადები;

ბ) გააუქმოს ხელშეკრულება.

მომსახურების ვადების დარღვევას თან უნდა მოჰყვეს კლიენტისათვის პირგასამტეხლოს გადახდა მომსახურების ღირებულების ერთი პროცენტის ოდენობით.

მხარეთა მოლაპარაკების (ხელშეკრულების) თანახმად აღნიშნული პირგასამტეხლო მომხმარებლის არჩევით შეიძლება გადახდილი იყოს:

ა) მომსახურების ღირებულების შემცირებით;

ბ) მომხმარებლისათვის დამატებითი მომსახურების უსასყიდლოდ გაწევით.

შემოსული პრეტენზიების დაკმაყოფილება ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

მუხლი 55.

1. მეურნე სუბიექტი პასუხს აგებს კავშირგაბმულობის საშუალებებით უხარისხო მომსახურებისათვის და მომსახურებაში არსებული ხარვეზების მოლაპარაკებულ ვადებში აღმოფხვრისათვის.

2. მომხმარებელი, რომელსაც კავშირგაბმულობის საშუალებებით მომსახურება გაუწიეს ხარვეზებით, რომელთა შესახებ იგი მეურნე სუბიექტის მიერ წინასწარ არ იყო გაფრთხილებული, უფლებამოსილია თავისი არჩევანით მოითხოვოს:

ა) ნორმალური ხარისხით მომსახურების უსასყიდლო ხელახალი გაწევა;

ბ) ხელშეკრულების გაუქმება.

უხარისხო მომსახურებისა და ხარვეზების აღმოფხვრის ვადების დარღვევას თან უნდა მოჰყვეს მომხმარებლისათვის პირგასამტეხლოს გადახდა მომსახურების ღირებულების ერთი პროცენტის ოდენობით.

მხარეთა მოლაპარაკების თანახმად აღნიშნული პირგასამტეხლო მომხმარებლის არჩევით შეიძლება გადახდილი იყოს:

ა) მომსახურების ღირებულების შემცირებით;

ბ) მომხმარებლისთვის დამატებითი მომსახურების უსასყიდლო გაწევით.

შემოსული პრეტენზიების დაკმაყოფილება ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

მუხლი 56.

მეურნე სუბიექტს მომხმარებლის წინაშე მატერიალური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დროული ან ხარისხიანი მომსახურება შეუძლებელი გახდა მომხმარებლის მიზეზით, ან წარმოქმნილი დაუძლეველი წინააღმდეგობების გამო.

მუხლი 57.

1. მომხმარებელი პასუხს აგებს მეურნე სუბიექტის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების დროულად გადახდაზე.

2. მეურნე სუბიექტის მიერ წარდგენილი ანგარიშის მიხედვით, მომხმარებლის მიერ მიღებული მომსახურების ღირებულების დადგენილ ვადებში გადაუხდელობისთვის მეურნე სუბიექტს უფლება აქვს მომხმარებელს გაფრთხილების შემდეგ გაუთიშოს ტელეფონი და გათიშვიდან ერთი თვის განმავლობაში მომხმარებლის მიერ მომსახურების და გათიშული ტელეფონის ჩართვის ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში მოუხსნას ტელეფონი, ხოლო მასზე რიცხული დავალიანება ამოიღოს დადგენილი წესით.

მუხლი 58.

დაუძლეველი წინააღმდეგობის გამო მეურნე სუბიექტის მიერ მომხმარებლის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა მომხმარებელს უფლებას აძლევს მეურნე სუბიექტთან შეთანხმებით დანიშნოს მომსახურების შესრულების ახალი ვადა.

მუხლი 59.

მეურნე სუბიექტს შეუძლია უარი უთხრას მომხმარებელს საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე, თუ:

ა) მომხმარებლის მოთხოვნის შესრულება აღემატება მეურნე სუბიექტის საწარმოო შესაძლებლობას ან ლიცენზიაში აღნიშნულ პირობებს;

ბ) მომხმარებელი არღვევს წინამდებარე წესებს.

მუხლი 60.

მეურნე სუბიექტის მიერ უარის თქმა საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირით მომსახურებაზე მომხმარებელს შეუძლია გაასაჩივროს შემდგომ ორგანოებში ან სასამართლოში.

მუხლი 61.

წინამდებარე წესების სისტემატური უხეში დარღვევისათვის მეურნე სუბიექტს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება ჩამოერთვას საქალაქთაშორისო და საერთაშორისო კავშირით მომსახურების უფლება (ლიცენზია).

თავი VIII
კონტროლი

მუხლი 62.

წინამდებარე წესების დაცვაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 63.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის თანახმად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ანგომონოპოლიური სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

თავი IX
წესების ამოქმედების ვადები

მუხლი 64.

წინამდებარე წესები ამოქმედდეს 1998 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის მინისტრი	საქართველოს ეკონომიკის მინისტრი
ფრ. ინგრიბ.	**ვ. პაპავა.**

შენიშვნა: ყველა უფლება დაცულია. საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის ერთობლივი წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია წინამდებარე დოკუმენტის ნებისმიერი ნაწილის გადაბეჭდვა ან გამოცემა ნებისმიერი ფორმით.

სადისკუსიო კლუბი „პრესა“

მეოთხე ხელისუფლება

რატომ ვერ იქცა ქართული მასმედია ხელისუფლების უტოდ?

სწორედ ინტელექტის, კომპეტენტურობის და ობიექტურობის სიმწირეა დღეს ახალგაზრდა ქართული პრესის აქილევსის ქუსლი. ამავე დროს, ნუ ვიქნებით უმოწყალდ მკაცრნი მეფასებებში და ისიც ვაღიაროთ, რომ ეს მთელი პოსტსაბჭოური ჟურნალისტიკის საერთო პრობლემაა: თუ ობიექტურ და პროფესიულ რეპორტაჟებს, როგორც წესი, უაპელაციო დამოძღვრა-განაჩენები სცელის, სოლო ყოველი ჟურნალისტი ერთდროულად მოსამართლე და წინასწარმეტყველია, ეს, რა გინდ უჩვეულოდ გვეჩვენოს, ბოლშევიკური პრესის მემკვიდრეობა-რეციდივია.

უკანასკნელ წლებში მოვიდნენ ახალგაზრდა, ზოგჯერ ნიჭიერი, პაგიმოყვარე (კარგი გაგებით), ამბიციური „მშის ქვეშ“ პრესგიქული ადგილის დამკვიდრებისათვის მებრძოლი ჟურნალისტები, მაგრამ ტრადიციების უქონლობამ ერთის მხრივ, და 80-იანი წლების დასასრულიდან დაწყებულმა სასწავლო პროცესის კრიზისმა, მეორეს მხრივ, თავისი დაღი დაასვა ახალი თაობის სპეციალისტთა (არა მარტო ჟურნალისტთა) პროფესიონალიზმს. ამიგომაც იქცა (იშვიათი გამონაკლისის გარდა), თითქმის ყველა ახლადდაარსებული გაზეთი „ტაბლოიდად“, რომლის მთავარი პროდუქცია საეჭვო ხარისხის სენსაციებია.

ვერც ამაში დავდებთ ბრალს მხოლოდ ჟურნალისტებს: ხშირად თვითონ მოქმედი პოლიტიკოსებიდან მოდის ამ საშიში რეალობის პროვოცირება. ჟურნალისტები არც თვითონ ერკვევიან და არც ხალხს აჩვევენ სერიოზულ პოლიტიკას, დემოკრატიულ პასუხისმგებლობას ქმედებისათვის. თუ პოლიტიკური ანალიზის ნაცვლად (საანალიზო კი, მოგეცათ ლხენა, რამდენია) პოლიტიკანობის ქრონიკებს გთავაზობთ თავისუფალი პრესა, ამაშიც პოლიტიკოსებს მიუძღვით გარკვეული წელილი, ვინაიდან, ნებსით თუ უნებლიეთ, უწინარეს ყოვლისა, მათ გადაქვთ ყურადღების ცენტრი პოლიტიკიდან პოლიტიკანობაზე, მძაფრ პოლიტიკურ პროცესთა არსიდან ამა თუ იმ ჩინოსანის ირგვლივ აგეხილ აყიოგაეგზე და ალიაქოთზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ერთადერთი, რასაც „აკადემიციურად“ ჩასწვდა ახალი თაობის ქართველ ჟურნალისტთა დიდი უმრავლესობა, ეს არის სენსაციის როლი გამეთისათვის. ფაქტია, რომ სენსაცია ის რეალური ძალაა, რომელიც ზრდის ტირაჟს და პურს აჭმევს ჟურნალისტებს. ბედის ირონიაა, რომ ყოველივე ამის პირველი მსხვერპლი თვითონ სერიოზული ჟურნალისტიკაა. ესეც კარგა ხნის დამკვიდებული და საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია. კიდევ ერთი პარადოქსი – სწორედ პოლიტიკური პლურალიზმის პირობებშია ძნელი, იყო გაბედული და პრინციპული ჟურნალისტი; ძალზედ დიდია, როგორც სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის ცდუნება, ასევე სხვადასხვა მხრიდან მეწოლა.

ქართული დამოუკიდებელი პრესის სუსტ მხარედ აღიქმება პოზიციათა და აზრთა ფართო სპექტრისა და დისკუსიის აბსოლუტური იგნორირება, ვიტყოდი აგრესიული იგნორირება; მოვა თქვენთან სიმპათიური გოგონა, 1-2 საათს გაგაცდენთ, თითქოს კეთილსინდისიერად ჩაიწერს კიდეც სასკოლო საერთო რვეულში ყოველ თქვენს სიტყვას, მეორე დღეს კი ექიმთან ერთად უნდა წაიკითხოთ თქვენნ ნაამბობი: კორესპონდენტმა ისე „დავარცხნა“, გაბერა, თავისი აზრებით „გაამდიდრა“ და თანაც ისეთი პასაჟები მოგაწერათ, რომ მის წამკითხავს იქვე დაგჭირდებათ სასწრაფო სამედიცინო დახმარება. აბა, სცადეთ, ამის შემდეგ საპასუხო წერილი გამოაქვეყნეთ იმავე გაზეთში. ნურას უკაცრავად, ეს უკვე სენსაცია აღარ იქნება. პრაქტიკულად არ არსებობს გაზეთებს შორის პოლემიკაც, რაც სპეციალისტთა აზრით, მუდამ ნებაყოფლობითი კულტურული აპარტეიდით მთავრდება. თავისუფალი პრესისათვის აუცილებელია დიალოგი და დისკუსია. ეგებ ერთი ძალა თუ კლანი აკონტროლებს (და აფინანსებს) მთელ თავისუფალ პრესას და ამიგომ არაფერი აქვთ გაზეთებს გასაყოფი? ბუნებრივია, კარგია, რომ ყველას და ყველაფრის კრიტიკა შეიძლება. პრინციპში, ასეც უნდა იყოს ღია დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაგრამ როდესაც კრიტიკა თვითმიზანია, აქ უკვე მწვანე შუქი ეძლევა არაობიექტურობას, სიყალბეს, სიცრუეს და დილეტანტიზმს. შედეგი – კრიტიკა ქვათა ღაღადად რჩება იმ იშვიათ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი ობიექტური და სამართლიანია. ამის ერთ-ერთი მიზეზი (სხვა მრავალთან ერთად) ისიცაა, რომ მთელ მსოფლიოში მიღებული და ფართოდ გავრცელებული ჟურნალისტური გამოძიება ჩვენში საინფორმაციო ექსტრემიზმის ფორმებს ღებულობს. პირველ რიგში, ალბათ, იმიგომ, რომ ნამდვილ ჟურნალისტურ გამოძიებას კოლოსალური შრომა, დიდი გამბედაობა და მაღალი პროფესიონალიზმი (ეს მთავარია) სჭირდება. ვინც თვალყურს ადევნებს რუსულ პრესას, არ შეიძლება გულგრილი დარჩეს რუს ჟურნალისტთა მიმართ, რომელნიც სიცოცხლის რისკის ფასად, ბევრ კვალიფიციურ გამომძიებელსაც რომ შეშურდება, ისეთი პროფესიონალიზმით ამხელენ საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოკალათებულ ბანდიტებს. ამიგომაც იყო, რომ „იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ ჟურნალისტურ გამოძიებებს სერიოზული საკადრო ცვლილებებიც კი მოჰყვა ხელისუფლებაში.

ცალკე პრობლემაა ტელეჟურნალისტიკა: დასავლეთში მიმომხილველებს, კომენტატორებს თუ პროგრამათა წამყვანებს „მოლაპარაკე თავებს“ უწოდებენ, ვინაიდან აქ მთელი დატვირთვა ცოცხალ სიტყვაზე, ანალიზურ მსჯელობაზეა გადატანილი.

ეპილოგის მაგივრად

რა პრობლემების წინამეც არ უნდა იდგეს დღეს ქართველ ჟურნალისტთა ახალი თაობა, ერთი რამ გარდაუვალია – სწორედ მათ მოუწევთ ახალ ათასწლეულში დემოკრატიის დაცვა ცხოვრებისეული პარადოქსებისაგან. ამიგომ დღეს ყველას ვალია ისეთი გარემოს შექმნა (სათანადო კანონმდებლობით და სხვა სახის ხელშეწყობით), რომ მათი ზნეობრივი და პროფესიული იდეალები კეთილშობილ პრინციპებზე იყოს ორიენტირებული.

...ამ დღეებში მოსკოვში შეიკრიბნენ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის ორგანოთა წარმომადგენლები და პირველი ნაბიჯი გადადგეს ჟურნალისტთა „ღირსების კოდექსის“ შესაქმნელად. იქნებ დადგა დრო, ჩვენც ვიფიქროთ ამაზე? ისე კი, ეს ამა თუ იმ ფორმით ხელისუფლების საზრუნავიც უნდა იყოს, ვინაიდან, საბოლოო ანგარიშით, მაღალი საინფორმაციო კულტურის გარეშე ყველგან და ყოველთვის ჭირს სახელმწიფოს მართვა დემოკრატიულ საწყისებზე.

...გასულ მაფხულს, აღმოსავლეთ ევროპის პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში ლექციების ციკლით იმოგზაურა სამმა ამერიკელმა ექსპერტმა: კოლუმბიის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის ხელმძღვანელმა ბერფორდმა, „ეამინტგონ პოსტის“ საერთაშორისო ახალი ამბების განყოფილების გამგემ ბარბერმა და „ეი-ბი-სი ნიუსის“ პროდიუსერმა გრინბერგმა. მათი ლექციები შემდეგ ცალკე ბროშურებად გამოქვეყნდა. აი, ზოგიერთი ციტატა: „თუ თქვენს ხელთ არის ინფორმაცია სკანდალზე, რომელიც ჟურნალისტურ გამოძიებას საჭიროებს, საგაზეთო სტატიის მოსამზადებლად აუცილებლად საჭიროა უგყუარი მტკიცებები“ (ბარბერი). „მაკომპრომეტირებელი მასალის გამოქვეყნებისას, საჭიროა ყველა ფაქტის გადამოწმება და ხელახალი შემოწმება“ (ბერფორდი). „სენსაციური ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს, მაგრამ გარკვეული პროფესიული ნორმებითა და სტანდარტებით“ (ბერფორდი). „ეს სტანდარტებია სიზუსტე და ისეთი ფაქტები, რომელთა შემოწმებაც ადვილად შეიძლება“ (გრინბერგი), „ჩვენ ძალზედ მნიშვნელოვან როლს ვასრულებთ. ჩვენ შეგვიძლია ხელისუფლების კრიტიკა და ამიგომ უნდა ვიმოქმედოთ სრული პასუხისმგებლობით“ (გრინბერგი). რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი ჟურნალისტებიც განუხრელად, პოლიტიკური სიმპათია-ანთიპათიების გარეშე, ერთგულად იცავდნენ ამ პრინციპებს. ეს ხომ მათ ინტერესშია. დღეს „ნიუ-იორკ ტაიმსის“ რედაქციაში უ. ლიპმანის დიდი სურათი პკიდია და მისი სახელობის პრემიაც არსებობს (ისევე როგორც პულიტცერის), ხოლო „ტაბლოიდების“ ავტორთა ვინაობა კი (თუნდაც იმათი, ვისი წყალობითაც ჰერსტი მილიარდელი გახდა) არავის ახსოვს. ისინი არ შემორჩნენ და ვერც შემორჩებოდნენ ჟურნალისტიკის ისტორიას. ახალგაზრდა ქართველ ჟურნალისტებს შანსი აქვთ თვითონ გააკეთონ არჩევანი.

შეიძლება დასავლეთის ჟურნალისტიკაში აღიარებული ზოგიერთი ნორმა და სტანდარტი მიუღებელი იყოს ჩვენი დღევანდელი სინამდვილისათვის. მაგალითად, იგივე შეერთებულ შტატებში კონსტიტუციის მიერაა ფეტიშირებული მოქალაქეთა უფლება მიუკერძოებელ სასამართლოზე. მომაკვდინებელ ცოდვად ითვლება სასამართლოზე ზეწოლის ამკარა ცდა კი არა, მინიშნებაც კი. უფრო მეტიც – ბევრ შტატში ჟურნალისტს ციხეში სვამენ სასამართლოს უპატივცემულობის გამო. ამერიკაში კი სასამართლოს უპატივცემულობად ისიც ითვლება, თუ ჟურნალისტი მას თავისი ინფორმაციის წყაროს დაუმალავს (!).

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენ ყველანი დაინტერესებული ვართ, თავისუფალი და დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის ორგანოთა არსებობით, მაგრამ უკანასკნელი ვერ იარსებებს სამი ფუძემდებელი ფაქტორის გარეშე, ესენია: მყარი საკანონმდებლო ბაზა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში სიცოცხლისუნარიანობა, პროფესიული დონე და პასუხისმგებლობის გრძნობა.

რა დასამალია, არც თუ იშვიათად ქართველ ჟურნალისტთა სცილად და ხარიბდად იქცა საკუთარი არასრულყოფილების კომპლექსი და განდიდების მანია.

ცნობილი პოლონელი დისიდენტი ადამ მიხნეკი, „ბი-ბი-სის“ მიერ ორგანიზებულ ერთ-ერთ სემინარზე თავისუფლების პირობებში მუშაობის სიძნელეებს უჩიოდა: „რა პრობლემაა? – შეეკითხნენ მას – ამდენი წლის რეპრესიების შემდეგ, თქვენ შეგიძლიათ ბეჭდოთ ის, რაც გსურთ!“ „საქმეც ის გახლავთ, რომ ახლა ჩვენ თვითონ უნდა გავერკვეთ სიცრუესა და სიმართლეში“ – უპასუხა მიხნეკმა. იქ, სადაც ამ სიძნელეს გრძნობს ჟურნალისტი, „მეოთხე ხელისუფლება“ გარანტირებულია. იქ, სადაც ჟურნალისტი ზერელედ და თვითდაჯერებულად ახარისხებს მგეუანსა და მართალს, სადაც თვითონ „ჭრის და კერავს“, იქ „ტაბლოიდთა“ დონეს ვერ გასცდება პრესა. სად არის გამოსავალი? პრესის თავისუფლება ფულისხმობს უაბრო, არაცივილიზებული, უსიამოვნო, მცდარი, სამიში და წამქეზებელი ინფორმაციის გავრცელებას (უფრო სწორედ, არც ეს არის გამორიცხული). ეს თავისუფლების საფასურია. მეცდომების კანონით აკრძალვა თავისუფლებას დაეუქრება. გამოსავალი ისევ და ისევ ჟურნალისტთა პროფესიონალიზმის ამაღლებაში, დამოუკიდებელი გაზეთებისა და ტელეკომპანიების (ეს პირველ რიგში) არსებობაშია. იქ, სადაც პრაქტიკულად ერთი გაზეთი და ერთი ტელეკომპანიაა, ისიც ბიუჯეტის ხარჯზე, ცენზიზმი და პირფერობაა, აბრა და სიტყვის თავისუფლებაზე ლაპარაკი, რაც არ უნდა ეწეროს კონსტიტუციაში. მადლობა ღმერთს, ჩვენში უამრავი თავისუფალი გაზეთია. მალე, ალბათ, კერძო ტელეკომპანიებიც მოძლავრდებიან, თუკი კვლავაც სასამართლოებში სირბილი არ მოუწევთ ეთერში თავისუფლად გასვლისათვის. ჩემი აზრით, ერთადერთ და მთავარ პრობლემად პროფესიონალიზმი რჩება. ეს არც არის გასაკვირი: საზოგადოება, რომელიც სულ ახლახანს გაზთავისუფლდა, ბროილერული შეთოდით ვერ გამოჩეკავს მაღალი კვალიფიკაციის, მიუკერძოებელ ჟურნალისტებს. რეპრესიებგამოვლილ და უცეს საბაზრო ეკონომიკის შოკში აღმოჩენილ საზოგადოებას, შემდუდული ეთიკური ნორმები და სუნგი საკანონმდებლო ბაზა გააჩნია, ხოლო კორუფციის შესაძლებლობა კი გაჩასაზღვრელია.

ბუნებრივია, რომ სიტყვის თავისუფლება გარკვეულ საზღვრებში შეცდომის უფლებასაც გულისხმობს. ობიექტური და პასუხისმგებლობის გრძნობი განმსჭვალულ ჟურნალისტთა თაობის ფორმირებას, სწავლის წლები და შეცდომათა ანალიზი ესაჭიროება ჩვენში ჯერ, გულახდილად რომ ვთქვათ, პირველი თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, მეორე კი საერთოდ იგნორირებულია; დროდადრო უცხოური ფონდების მიერ ჩაგარებული 2-3-დღიანი სემინარები და ერთდროული გრანტები ნაკლებად ეფექტიანია. შედეგიც კანონზომიერია: არც ჟურნალისტებს აქვთ კვალიფიციურად გათვითცნობიერებული, თუ რას მოითხოვენ მათგან პოლიტიკოსები და სახელმწიფო მოღვაწეები, და არც უკანასკნელი არიან მზად სრულად დაკმაყოფილონ ჟურნალისტთა პროფესიული მოთხოვნები.

„იზვესტიის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, ცნობილი ჟურნალისტი ფეოფანოვი, რუსეთის პრესაზე წერს, რომ იგი იმავე დღეშია, როგორშიცაა უმიწოდ გადათავისუფლებული გლეხი: „კანონით თავისუფალია, რეალურად ვიღაცაზეა დამოკიდებული“. მეგზაკლებად ასეა ჩვენშიც. მდგომარეობას, ალბათ, გააუმჯობესებს ახალი კანონი პრესაზე, რომელმაც უკვე გამოიწვია სერიოზული ეჭვბათა ღელვა. კანონმა ერთდროულად ჟურნალისტების ინტერესებიც უნდა დაიცვას ყოველგვარი არადემოკრატიული შემღუდვებისაგან და რიგითი მოქალაქენი თუ ხელისუფლების წარმომადგენლებიც ჟურნალისტთა მხრიდან უსაფუძვლო ბრალდებისა და ელემენტარული ცილისწამებისაგან. მე, პირადად, ვამჯობინებდი, რომ მუხრუჭი, კანონი კი სასამართლო კი არა, თვითონ ჟურნალისტთა ზნეობა და ობიექტურობა ყოფილიყო. ეს უფრო სათმედო გარანტიაა.

სოსო ციინცაძე,
დიპლომატიური აკადემიის რექტორი.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ №308, 309.

გმადლობთ

საუკუნის სკოლა გადარჩა

ახალი გამგებელი ჩვენი სკოლის მდგომარეობით დაინტერესდაო, რომ შევიგაყვეთ, ხმა არავის ამოუღია. წლების მანძილზე ამ თანამდებობის პირთა სკოლით დაინტერესება დიდი იყო, საქმეს კი არაფერი წადგომია...

გულსატკენი გახლდათ დიდი და ლამაზი წარსულის მქონე ჩვენი სკოლის ბედი: იგი ინგრეოდა, მხსნელი კი არა და არ ჩანდა...

და, აი, გურჯაანის ახალგაზრდა გამგებელი დაინტერესდა ჩვენი სკოლის მდგომარეობით, არ გვჯეროდა-მეთქი, სანამ თვითონ ბიძინა სონღულაშვილი არ შემოვიდა სკოლის ეზოში. მოსულისთანავე შემოიარა შენობა და ეზო, ყველა კუთხე-კუნჭული, შემდეგ დამხმარე კაბით სხვენში ავიდა, საიდანაც საკმაოდ „შელამაზებული“ ჩამოვიდა. – სკოლის შენობა უნდა აღდგეს! – თქვა რაიონის ხელმძღვანელმა და მეორე დღესვე კარს მოგვადგნენ სამშენებლო მასალით დაგეირთული მანქანები, ხოლო შემდეგ რაც გაკეთდა, მღაპარსა პგავს, ლამაზსა და დუჯერებელს, თვალით რომ არ ვუყურებდეთ მკვდრეთით აღმდგარ, საშვილიშვილოდ გამაგრებულსა და გარეგნულადაც გამშვენიერებულ სკოლის შენობას!

ყველაფერს ორ თვეზე ნაკლები დასჭირდა. მოთ

№ 310. ხუთშაბათი, 11 დეკემბერი, 1997 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ო

საქართველოს რესპუბლიკა
№310. ხუთშაბათი, 11 დეკემბერი, 1997 წელი

ხიდი

ამ ინვალიდებისთვის კი ესპანეთი, ალბათ, ყველაფერია!

იყო დრო, ყრუ ინვალიდთა თუ უსინათლოთა საზოგადოებები საკუთარი სახსრებით მონაწილეობდნენ მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტების მშენებლობაში, გამართულად მუშაობდა მათი სასწავლო-საწარმოო წამოწყებები და ამის საფუძველზე შექმნილი ჰქონდათ სათანადო სოციალურ-ეკონომიკური პირობები.

გარდამავალმა პერიოდმა მათაც დაატყო თავისი ხელი. გაიძარცვა, დაიწვა და განადგურდა წლების განმავლობაში ოფლით შეძენილი სამოგადოებების კუთვნილი უძრავ-მოძრავი ქონება, შენობა-ნაგებობანი. უმუშევარი ინვალიდები უსახსროდ დარჩნენ.

ეს საქართველოში, მაგრამ ესპანელები ამბობენ, რომ მათთან რევოლუციის შემდეგ დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა ყოფილა. იქაც, თურმე, ძალიან გასჭირვებიათ, განსაკუთრებით — ინვალიდებს.

ესპანელები იმიგომ ვახსენე, მინდა გიამბოთ, თუ როგორ დაეხმარნენ ისინი ქართველ ინვალიდებს.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, როცა კომპოზიტორ დათო ევგენიძის ესპანელი პროდიუსერები საქართველოთი დაინტერესდნენ. მათ დათო და დედამისი ქალბატონი დინარა ევგენიძე დააკავშირეს ცნობილ ესპანურ ფირმა „ონსენთან“, რომელიც უკვე ორმოცდაათი წელია არსებობს და მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში სოციალურად დაუცველ ფენას ეხმარება.

ასე ჩამოყალიბდა ქართულ-ესპანური კორპორაცია „ლია“ (პრეზიდენტი — დინარა ევგენიძე).

ქალბატონმა დინარამ კორპორაციას თექვსმეტი წლის ასაკში ტრაგიკულად დაღუპული თავისი ქალიშვილის სახელი დაარქვა. ამბობს, რომ ქალიშვილის ხსოვნა ძალას მატებს ცხოვრებისაგან დაჩაგრული, უმწეო ადამიანებისთვის იღვაწოს.

და იღვწის კიდეც ისეთი შემართებით, რომ ესპანელ პარტნიორებს არაერთხელ გამოუხატავთ აღტაცება.

კორპორაცია, რომელიც 1992 წლიდან არსებობს, წელიწადნახევრის წინათ შეუდგა თავისი ერთ-ერთი დიდი პროექტის განხორციელებას. იგი ლაგარია „იბერიას“ სახით არის ცნობილი და ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს.

გათამაშება ეწყობა მრავალწლიანი ესპანური გამოცდილების მიხედვით. პროექტის რეალიზაციისათვის ქართველმა და ესპანელმა ექსპერტებმა უკვე ჩაატარეს სოციალური და მარკეტინგული კვლევა. დაპროექტდა და დამზადდა სარეალიზაციო ჯიხურები და განლაგდა მერიის მიერ გამოყოფილ ადგილებზე.

ქალბატონმა დინარამ აღნიშნა, რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძის დიდმა ავტორიტეტმა მსოფლიო პოლიტიკაში, განაპირობა ესპანელი პარტნიორების მიერ კაპიტალის დაბანდება ამ პროექტში, თანაც, — კომპენსაციასაც არ ითხოვენ, რაზეც საუბარი იყო წელიწადნახევრის წინათ ქვეყნის პრეზიდენტთან შეხვედრისას.

საქართველოს ყრუთა და უსინათლოთა სამოგადოებებმა შეარჩიეს კანდიდატები ბილეთების სარეალიზაციო ჯიხურებში სამუშაოდ. მაგრამ მათი რიცხვი ხუთასამდე გაიზრდება. გათვალისწინებულია პროექტის განხორციელება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. გარდა ამისა, ჩამოყალიბდება „ინვალიდთა საერთაშორისო ფონდი“.

ლაგარიიდან შემოსულ მოგებას გამოიყენებენ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის. ხელშეკრულების თანახმად, მოგების 20 პროცენტი ჩაირიცხება ქალაქის ბიუჯეტში.

საინტერესოა, რომ კორპორაციამ ამ საკითხზე საზოგადოებრივი გამოკითხვა ჩაატარა.

უბრალოდ, გვაინტერესებდა, — თქვა ქალბატონმა დინარამ, — რამდენად არის დარწმუნებული მასობრივი ცნობიერება ამა თუ იმ კონკრეტულ ორგანიზაციათა პაგიოსნებასა და სანდოობაში, რასაც ოფიციალურ ჩანს, გარკვეული დრო სჭირდება.

გამოკითხულთა მხოლოდ 22 პროცენტს სჯერა, რომ ლაგარიიდან შემოსულ მოგებას გამოიყენებენ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის, 39 პროცენტს ეს არ სჯერა, ამდენივეს უჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

საქართველოს მოსახლეობის ესპანეთისადმი განსაკუთრებული კეთილგანწყობის გამო (რაც გამოკითხვამაც დაადასტურა), კორპორაციამ მიზანშეწონილად მიიჩნია სარეკლამო კლიპებში ესპანეთზე ინფორმაციის მიწოდება.

ჩვენში ესპანეთი, იმავე გამოკითხვის შედეგებით, ყოველი მეოთხე რესპონდენტისთვის, უპირველეს ყოვლისა, ეს არის კორიდა და ტორეადორი, ყოველი მეხუთესთვის — ტურიზმის ქვეყანა, ყოველი მეექვსესთვის — დონ-კიხოტისა და გენიალურ მხატვართა სამშობლო, ყოველი მერვესთვის — საფეხბურთო ქვეყანა.

იმ ინვალიდებისთვის კი, ამ გაჭირვების დროს დახმარების ხელი რომ იგრძნეს იქიდან, ალბათ, ყველაფერი!

ქალბატონი დინარა ოცნებობს ბედისგან დაჩაგრულ უმწეო ადამიანებს ცხოვრება გაუადვილოს. ჩემი ცხოვრების აზრი ეს არისო, — თქვა.

როგორ გვჭირდება დღეს ასეთი ადამიანები!

მზია გელენავა.

სურათზე: ქართულ-ესპანური კორპორაცია „ლიას“ პრეზიდენტი დინარა ევგენიძე.

მაგთი GSM-ს აბონენტთა საყურადღებოდ

მაგთი GSM აცნობებს აბონენტებს, რომ ოქტომბრის თვის გადასახადების გადახდის ვადა გაგრძელებულია 5 დეკემბრამდე. ნოემბრის თვის გადასახადების გადახდა დაიწყება მიმდინარე წლის 5 დეკემბრიდან.

აბონენტებმა ანგარიშსწორებისათვის მიმართონ „საქართველოს ბანკის“ ფილიალებს 10-დან — 16 საათამდე შაბათ-კვირის გარდა.

ლესელიძის ქ. 22-ში მდებარე ფილიალი კი აბონენტებს მოემსახურება 10 საათიდან 18 საათამდე შაბათის ჩათვლით.

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 25 00 00 ან 25 11 11.

გახსენება

როცა ასეთი დანატოვარი

ეკოფიზიკის ინსტიტუტიდან გამოგზავნილი მოსაწვევი იტყობინებოდა: 8 დეკემბერს, 11 საათზე, აკადემიკოს მერაბ ალექსიძის სახელობის დედამიწის ფიზიკისა და საძიებო გეოფიზიკის საქალაქო სემინარზე შედგება მერაბ ალექსიძისეული საუბრები; სხვათა მორის, წარმოდგენილი ექსი საუბრიდან ერთ-ერთს ასე ერქვა — კუპრაძე-ალექსიძის მეთოდის მოგიერთი თანამედროვე ასპექტის შესახებ. დანარჩენი გამოსვლების თემებშიც შეიცნობოდა ცხოვრებიდან ნაადრევად წასული შესანიშნავი მკვლევარის მეცნიერული დანაგოვრის ანარეკლი.

ოთხ წელზე მეტი გავიდა მერაბ ალექსიძის ტრაგიკული დაღუპვიდან. როცა მასზე ვფიქრობ, მეხსიერებიდან ამოგიტივტივდება ხოლმე: „ის კაცი იყო, ვით შეპ ფერის კაცსა კაცობა“. „უნიჭიერესი ადამიანი გახლდათ, თანაც მრავალმხრივი გალანგით დაჯილდოებული; ღრმა გამოკვლევები დაგოვა მათემატიკისა და გეოფიზიკის ბევრ დარგში. „თქვენ, ქართველები, ბედნიერები ხა[illegible] მერაბ ალექსიძისთანა მსოფ[illegible] მასშტაბის გეოფიზიკოსი რომ [illegible] ვთო“ — ეს უკრაინის გეოფიზ[illegible] კის ინსტიტუტის დირექტორს, [illegible] დემიკოს ანაგოლი ჩეკუნ[illegible] უთქვამს...

მერაბ ალექსიძისთანა პირ[illegible] ვნული ავტორიტეტის, მწვანე[illegible] ობის, ძლიერი ხასიათის მ[illegible] უნდა ყოფილიყავით, რომ 90-[illegible] წლების დასაწყისში, „სისხ[illegible] წვიმების დროს“, ცენტრალ[illegible] საარჩევნო კომისიის თავმ[illegible] მარულ დამდგარიყავით და [illegible] თულეს პირობებში საპარ[illegible] მენტო არჩევნების ნორმალურ[illegible] ჩატარების ორგანიზება შეძ[illegible] ბოდათ...

მშვენიერი ოჯახი დარჩა, [illegible] ნოგრაფიები დარჩა, მოწაფ[illegible] და მიმდევრები დარჩა, ეკ[illegible] ცური სახელი დარჩა. 8 დეკემ[illegible] სემინარი მისი ხსოვნის უკ[illegible] ვების ერთი ფურცელია. 8 დ[illegible] მბერს მერაბ ალექსიძის და[illegible] დების დღე იყო.

თამაზ ებანოი[illegible]

ხსოვნა

მამუკა მენაღარიშვილი

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს ნიადაგის ნაყოფიერებისა და აგროქიმიური სამსახურის რესპუბლიკური საპროექტო-ტექნოლოგიური ცენტრის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი **მამუკა ათინოგენის ძე მენაღარიშვილი.**

მამუკა მენაღარიშვილი დაიბადა 1952 წელს. საქართველოს [illegible] სოფლო სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაო[illegible] დაიწყო ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის [illegible] მეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, სადაც მოამზადა და 1980 წ[illegible] წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სოფლის მეურ[illegible] ნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მ[illegible] პოვებლად. შემდგომ მუშაობდა კრწანისის მონალური აგრო[illegible] მიური ლაბორატორიის გამგედ, ხოლო 1983 წლიდან დღემდე [illegible] ლმძღვანელობდა ნიადაგის ნაყოფიერებისა და აგროქიმიური [illegible] მსახურის რესპუბლიკურ საპროექტო-ტექნოლოგიურ ცენტრს, [illegible] ვდროულად იყო საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „საქა[illegible] ლქიმიის“, შემდგომში სახელმწიფო კონცერნ „საქსოფლნაყო[illegible] ერების“ თავმჯდომარის მოადგილე. მას გამოქვეყნებული [illegible] 25 სამეცნიერო ნაშრომი.

მამუკა მენაღარიშვილს დიდი წვლილი მიუძღვის საქა[illegible] ლოს ნიადაგების აგროქიმიური გამოკვლევის, სასუქების [illegible] ყენების უსაფრთხო რეკომენდაციების, ნიადაგების ნაყოფიერ[illegible] ბის ამაღლების ღონისძიებების შემუშავებაში.

მამუკა მენაღარიშვილი საოცრად გულისხმიერი და კეთილ[illegible] ვარე იყო, ჭირსა და ლხინში ყველას გვერდში მდგომი, მისთვ[illegible] არ არსებობდა საკუთარი და სხვისი საქმე. სხვანაირი არც [illegible] იძლებოდა ყოფილიყო ცნობილი ქართველი მეცნიერის, საქა[illegible] თველოში აგროქიმიური სკოლის ფუძემდებლის, პროფესორ ათინოგ[illegible] მენაღარიშვილის ვაჟი.

წავიდა ჩვენგან მამუკა მენაღარიშვილი და სამარადისო [illegible] სუფეველში წაიღო თანამშრომლების, კოლეგების და მეგობ[illegible] ბის უსაზღვრო სიყვარული, ხოლო აქ დაგოვა დიდი კეთილი [illegible] მწუხარება, რაც ძალზე დიდხანს დარჩება იმათ ხსოვნაში, ვ[illegible] მას იცნობდა და ვისთანაც ჰქონდა ურთიერთობა.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსა[illegible] სამინისტრ[illegible]
ს/ს „საქაბროსერვის[illegible]

გენერალ-მაიორ **რეზო გურგენიძეს**

ვულოცავთ დაბადების დღეს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და წარმატებებს სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას.

ილია თიღილაური და მისი ოჯახი.

ორგანიზაცია შეიძენს საველე კავშირის სადენს П 274 — 400 კმ. ფასი შეთანხმებით.
საკონტაქტო ტელ: 95-28-06.
10 სთ-დან 6 სთ-მდე.

ძალაძ თბილისში პრესის გავრცელების საცალო ქსელში დასაქმებულთა და კერძო რეალიზატორთა საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ წლევანდელი 20 მაისიდან ნებადართულია „საქართველოს რესპუბლიკის“ მხოლოდ იმ ეგზემპლარების გაყიდვა, რომლებზეც ამ გაზეთის გამომცემელი შპს „პრესის“ სპეციალური შტამპი იქნება დარტყმული.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია.

სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრო

აცხადებს კონკურსს

პუროპროდუქტებისა და სურსათის დეპარტამენტში არსებული 5 ვაკანტური ადგილისა და კვების მრეწველობის დეპარტამენტის 12 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად.

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება პრესაში გამოცხადებიდან 15 დღის განმავლობაში;
2. განცხადებები განიხილება პრესაში გამოქვეყნებიდან 20 დღის განმავლობაში;
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის სახელზე შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 41, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

1. კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი;
2. ავტობიოგრაფია;
3. განათლების მოწმობა;
4. პირადობის მოწმობას განმცხადებლები წარმოადგენენ პირადად.

საკონკურსო პირობები:

1. პუროპროდუქტებისა და სურსათის დეპარტამენტში არსებული 5 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსში დაიშვებიან შემდეგი სპეციალობის პირები:

— კვების მრეწველობის ინჟინერ-ტექნოლოგები (2 ერთეული); ეკონომისტი — სასურსათო საქონლის, საქონელმცოდნე და ვაჭრობის ორგანიზატორი (3 ერთეული); სურსათის და ბაზრის რეგულირების სამმართველო.

2. კვების მრეწველობის დეპარტამენტში არსებული 12 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსში დაიშვებიან შემდეგი სპეციალობის პირები:

— კვების მრეწველობის ინჟინერ-ტექნოლოგი (9 ერთეული), კვების მრეწველობის მანქანა-აპარატების ინჟინერ-მექანიკოსი (2 ერთეული), უცხო ენების სპეციალისტი (1 ერთეული).

კონკურსში მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი; დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილება. სასურველია კომპიუტერზე მუშაობისა და უცხო ენების ცოდნა;

თანაბარ პირობებში უპირატესობა ენიჭებათ სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს თანამშრომლებს.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ შემდეგ ნომრებზე: 33-40-46, ოთახი № 421; 33-44-07, ოთახი № 412.

სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტრო.

ტენდერი

საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, საქართველო-თურქეთის რკინიგზების შემაერთებელი თბილისი-ყარსის რკინიგზის ხაზის და მასთან დაკავშირებული ყველა ობიექტის პროექტის ტენდერის საბუთების წარდგენის ბოლო ვადა — 1997 წლის 19 დეკემბერი, რომელიც გამოცხადებული იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ №282, №285, №287 11, 14, 16 ნოემბერს, ტენდერში მონაწილე კომპანიების მიერ ტექნიკურ-ეკონომიკური ხასიათის დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის მიზნით, გადატანილია 1998 წლის 19 თებერვლის 14 საათამდე.

ტენდერი

თურქეთის სახელმწიფო რკინიგზების გენერალური დირექტორატის სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით, თურქეთ-საქართველოს რკინიგზების შემაერთებელი (ყარსი-თბილისი) რკინიგზის ხაზის ტენდერის საბუთების წარდგენის ბოლო ვადა 1997 წლის 19 დეკემბერი, რომელიც გამოცხადებული იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ №282 და №287 11 და 16 ნოემბერს, გადატანილია 1998 წლის 19 თებერვლის 14 საათამდე.

განცხადება

იაპონიის გრანტით შეძენილი მინერალური სასუქების მიმღების (რომელიც სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სახელით უზრუნველყოფს საქონლის (7300 ტონა სამმაგი სუპერფოსფატი) მიღებას, ბაზამდე ტრანსპორტირებას, ჩამოტვირთვას, შენახვა-დასაწყობებას, რეალიზაციას და პროდუქციის FOB ფასის ექვივალენტური თანხის ეროვნულ ბანკში 2KR პროგრამის სპეცანგარიშზე შემჭიდროვებულ ვადებში აკუმულირებას) გამოსავლენად სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო აცხადებს კონკურსს.

კონკურსი გაიმართება 1997 წლის 19 დეკემბერს დილის 11 საათზე სამინისტროს კოლეგიის სხდომათა დარბაზში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადება უნდა წარმოადგინონ 1997 წლის 18 დეკემბრამდე.

განცხადების წარმოდგენილი საკონკურსო პირობებს გაეცნობიან სამინისტროს საერთაშორისო დახმარებების კოორდინაციის სამმართველოში. მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 41. მე-5 სართული, ოთახები — 534, 636, 538. ტელ: 33-34-11; 99-02-21; 93-16-56.

საკონკურსო კომისია.

ორგანიზაცია გთავაზობთ სატელეფონო კაბელებს
ТПП 100x2x0,4 1 მეტრის ფასი — 3,50
ТПП 50x2x0,4 1 მეტრის ფასი — 1,80
დღგ-ს გარეშე.
ტელ: 95-28-06.

გაეროს განვითარების პროგრამა

UNDP

მიმართვა

პროექტში „სახელმწიფო მართვის სისტემის სრულყოფა დემოკრატიული მმართველობის განვითარებისათვის“ განაცხადების წარმოსადგენად:

გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობა საქართველოში იწვევს კომპანიებს, რათა წარმოადგინონ განაცხადები მონაწილეობის მისაღებად შემდეგ ტენდერებში:

1. საქართველოს სახელმწიფო კანცელარიისათვის კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის მოწოდება (განაცხადების მიღება მთავრდება: 1997 წ. 25 დეკემბერს 18.00 სთ.);
2. საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში ლოკალური კომპიუტერული ქსელის მოწოდება-დამონტაჟება. (განაცხადების მიღება მთავრდება: 1998 წ. 8 იანვარს, 18.00 სთ);

განაცხადების წარმოდგენის მსურველი კომპანიები მიიღებენ ტექნიკურ და ფინანსურ სპეციფიკაციებს, სამუშაოების პირობების აღწერილობას, განაცხადების წარმოსადგენად აუცილებელ ფორმებსა და ინსტრუქციებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10.00-13.00 სთ. შემდეგ მისამართზე:

გაეროს განვითარების პროგრამა, გაეროს სახლი, თბილისი, ერისთავის ქუჩა 9, ოთახი 101. ტელ.: 25-11-26/28/31

ტექნიკური, ფინანსური და საკონტრაქტო სპეციფიკაციების პაკეტის მისაღებად დაწესებული 50 აშშ დოლარი არ ანაზღაურდება.

შპს „სულიკოს“ პარტნიორთა საყურადღებოდ

გაცნობებთ, რომ შპს „სულიკოს“ პარტნიორი „თბილინტერბანკი „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46.8. და 47.5. პუნქტების შესაბამისად 1997 წლის 16 დეკემბერს დღის 11 საათზე იწვევს პარტნიორთა განმეორებით კრებას შემდეგი დღის წესრიგით:

1) საზოგადოების საქმიანობის წლიური შედეგების განხილვა;
2) საწესდებო კაპიტალის გაზრდა;
3) საზოგადოების კუთვნილი ჩაის ფაბრიკის გაყიდვა;
4) დირექტორების დანიშვნა.
5) აუდიტორის არჩევა.

მისამართი: ვაცა-ფშაველას გამზ. 41

„თბილინტერბანკის“ დირექტორატი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო [illegible] მინისტრთა საბჭო თანაგრძნობას უცხადებენ საქართველოს [illegible] გარეო საქმეთა მინისტრს ბატონ ირაკლი მენაღარიმეილს ძმ[illegible]
მამუკა მენაღარიშვილის
გარდაცვალების გამო.

ალიკო ცინცაძის ოჯახი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს
მამუკა ათინოგენის ძე მენაღარიშვილის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულ[illegible] ოჯახს.



საქართველოს საერთაშორისო სამოგადო[illegible] „ცოდნის“ გამგეობის, პრეზიდიუმის წევრ[illegible] ბი, აპარატისა და თბილისის რეგიონის [illegible] ნამშრომლები უღრმესი მწუხარებით იუწ[illegible] ბიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა [illegible] ქართველოს სამოგადოება „ცოდნის“ გამგეო[illegible] წევრი, ცენტრალური ლექტორიუმის ყოფ[illegible] დირექტორი, სახელმწიფო პროგოკოლის [illegible] მყვანი სახელმწიფო მრჩეველი, ღირსეულ[illegible] თბილისელი და სამაგალითო მოქალაქე
ოთია სოხაძე
და გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯ[illegible]

საქართველოს სახელმწიფო კანცელარია იუწყება, რომ მძ[illegible] ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სახელმწიფო კანცელ[illegible] ის თანამშრომელი
ოთია გიორგის ძე სოხაძე
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება იუწ[illegible] ბა, რომ გარდაიცვალა მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყო[illegible] მშენებლობის მუშაკთა პროფესიული კავშირის რესპუბლიკ[illegible] საბჭოს თავმჯდომარის ფურაბ სარალიძის შვილი
ლია სარალიძე
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს გენერალური პროკურატურის კოლექტივი თ[illegible] ნაგრძნობას უცხადებს სამმართველოს უფროსს კახა კობერიძ[illegible]
ბეჟიოს
გარდაცვალების გამო.

მეუღლე ხათუნა გაგნიძე-ავალიანი, ძმა გია ავალიანი მეუღლ[illegible] მაია კობახიძე, ძმისწულები სანდრო, ამირანი, დეიდა თამარ თეთრ[illegible] ოჯახით, მამიდა ნენე ავალიანი ოჯახით, ეკო ავალიანი, [illegible] დედრი მაია, სიმამრი ნოდარ გაგნიძეები ოჯახით, მამიდაშ[illegible] ლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ზაზა ამირანის ძე ავალიანი
პანაშვიდი — 11, 12 XII, 4 სთ. გამოსვენება — 13. XII. 3 სთ. [illegible] ქა-ფშაველას 28.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი — შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ გოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშარაულის 29.